ექვემდება ტექნიკური მახასიათებლები გამოიყენება წყალმომარაგების სისტემებში და სხვა სითხეების გადასაადგილებლად - ტრანსპორტირებისათვის.

1. ფოლადის მილი $d = 200/219$ მმ;
2. შეწოვილი წყლის ხარჯი $Q = 35.325 \text{ ლ}/\sqrt{\partial}(127,17\partial^3/\text{სთ});$
3. მუშა სითხის წნევა კგ.მ / მ^2 -ზე - 18-20კგ.მ/ მ^2 -ზე ;
4. წყლის ხარჯი მუშა სითხე - 7ლ/ $\sqrt{\partial};$
5. ნაცმის დიამეტრი $d_0 = 31.5$ მმ;
6. შემრევი საკნის დიამეტრი $d_1 = 78.75$ მმ;
7. საერთო სიგრძე $\partial = 1512,93\partial;$
8. მიღყელის დიამეტრი $D_{1g} = 150$ მმ;
9. სიმაღლე $B = 630$ მმ;
10. მასა კგ - 100,00;
11. დანართი. ექვემდება დეტალური ნახატი $\partial=1:10.$


ექვემდება კონსტრუქცია, რომელიც დამუშავებულია და დღემდე გამოიყენება მუშა სითხის მიერ თანმდევი ფაზის წყლის წასატაცებლად




ჰიდროვლიკური პარამეტრების ურთიერთდამოკიდებულების განმსაზღვრელი ცხრილი, დიამეტრთან დამოკიდებულებით

$d, \text{мм}$	$w, \text{м}$	$q, \text{м}^3/\text{с}\cdot\text{м}$	$v, \text{м}/\sqrt{\text{с}}$	$h, \text{м}$
250	0,0491	0,007	0,143	0,001
120	0,0113	0,007	0,619	0,012
110	0,0095	0,007	0,737	0,017
100	0,0079	0,007	0,892	0,024
90	0,0064	0,007	1,101	0,037
80	0,0050	0,007	1,393	0,059
70	0,0038	0,007	1,820	0,101
60	0,0028	0,007	2,477	0,188
50	0,0020	0,007	3,567	0,389
40	0,0013	0,007	5,573	0,951
30	0,0007	0,007	9,908	3,005

გრაფიკი გვიჩვენებს მექანიკურის ნაცმის დიამეტრის ცვლილებისას როგორ იცვლება სიჩქარეებთან ერთად, წნევის დანაკარგები მუშა სითხის მუდმივი ხარჯის დროს:





3. დასპანა

ესექტორის გამოყენება რელიეფის მიხედვით, საშუალებას გვაძლევს დავზოგოთ საკმაოდ დიდი რაოდენობის ელექტროენერგია; კერძოდ, თუ ვიანგარიშებთ $\text{J}^3/\text{წლის H}$ სიმაღლეზე ატანას, მაშინ ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯის გაანგარიშებისას უნდა ვისარგებლოთ შემდეგი გამოსახულებით:

$$\rho = 0,00273 \frac{H}{\varphi}$$

სადაც ρ ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯია, კვტ.სთ/მ³;

H – სიმაღლე, რომელზეც უნდა გადაიტუმბოს სითხე, მ;

φ – ტურბოს მარგი ქმედების კოეფიციენტი.

გარდა აღნიშნული დანადგარისა, ჩვენს მიერ დამუშავებული და ჩატარებულია სამრეწველო ექსპერიმენტები ელექტრორების სხვადასხვა ტიპზე; კერძოდ, ქ. თელავის დვინის კომპანიის GWS-ის ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში რამდენიმე ათეული წელია მუშაობს აქტიური ლამის გადამუშავებაზე აერაციის მიზნით ჰაერის წატაცების ხარჯზე ელექტროენერგიის დაუხარჯავად და ეკოლოგიურად

ჯანსაღი ბიოლოგიური ტექნოლოგიური პროცესების გავლის შემდეგ, წყალი ჩაგდინება იქვე არსებულ ხევში.

ლიტერატურა

1. Еременко А.Д. Испытание насосов. 1976.
2. Альтшуль А.Д. Гидравлические потери на трение в трубопроводах. 1963.
3. Прозоров И.В., Николадзе Г.И., Минаев А.В. Гидравлика, водоснабжение и канализация. 1990.
4. Канализация населенных мест и промышленных предприятий. Справочник проектировщика. Госстройиздат, 1963.
5. Курганов А.М., Федоров Н.Ф. Справочник по гидравлическим работам систем водоснабжения и канализации. 1978.

შაბ 628.1

სასმელი წყლით უზრუნველყოფის პროცესები საქართველოში

ნ. ნაცვლიშვილი, გ. ნაცვლიშვილი, ნ. ლაფაჩი, ნ. სოსელია
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: განხილულია დასახლებული ადგილების სასმელი წყლით მომარაგებისას წარმოშობილი პრობლემები და სისტემების ფუნქციონირების პარამეტრების ცვალებადობა, რომლებიც დამოკიდებულია სხვადასხვა სიღიძისა და ხარისხის ფაქტორებზე. საქართველოს დასახლებული ადგილების მონაცემების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე დადგენილია პარამეტრები (წყლის მოხმარების ნორმები, დანაკარგების ქსელში, დაწნევები, საშუალო დღელამური ხარჯი, რეზერვუარების ტემპობა და სხვ.) და შედარებულია ისინი საზღვარგარეთის დიდი ქალაქების წყალმომარაგების შესაბამის სიღიძეებთან. შემთავაზებულია რეკომენდაციები მონაცემთა ექსპერიმენტული გზით მიღების შესახებ და ფაქტობრივი პარამეტრების გაუმჯობესებისათვის.

საკვანძო სიტყვები: სასმელი წყლის ნორმები; დანაკარგები; უთანაბრობის კოეფიციენტი; წყლის ხარჯის აღრიცხვა; ტექნიკური და სანიტარული საიმედოობა; ზღვრულად დასაშვები სიღიძეები; დაწნევები.

1. შესაბალი

სასმელი წყლის ფაქტობრივი მოხმარების შეუჩერებელმა ზრდამ და წყლის რესურსების დეფიციტმა რიგი დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების სისტემებში სულ უფრო აქტუალური გახადა ამ სისტემების ფუნქციონირების შესწავლა და რაციონალური გამოყენების საკითხების დამუშავება.

პრაქტიკაში დაპროექტების სტადიაზე შერჩეულმა წყლის მოხმარების ნორმება (ხედრითი ხარჯები ერთ მოსახლეზე) ვერ უზრუნველყო მოსახლეობის სრული დაკმაყოფილება და ქვეყნის უმრავლეს დასახლებულ პუნქტებში ფაქტობრივმა ხედრითმა ხარჯებმა ერთ მოსახლეზე მნიშვნელოვნად გადააჭარბა მიღებულ სიდიდეებს (მაგალითად სოფლის ტიპის დასახლებებისათვის რეკომენდებული ნორმა 150 ლ, ფაქტობრივად ორჯერ და მეტად ნაკლებია). შესაბამისად წარმოქმნილი დეფიციტის აღმოსაფხვრელად წყალმომარაგების სისტემის მომსახურე ორგანიზაციები ცდილობენ სუბიექტურად გადაწყვიტონ წამოჭრილი პრობლემები. ეს გარემოება კი ახალ პრობლემებს ქმნის და ა.შ., პრობლემების მუდმივი გადაჭრის გზების ძიებაში გადის დრო. სისტემა ხანდაზმული ხდება, მატულობს დაზიანებებისა და ავარიების რიცხვი, იზრდება დანაკარგები, კლებულობს შემოსავალი ან იზრდება სატარიფო განაკვეთი, რითაც მომხმარებელი ზარალდება.

2. მიზანთაღი ნაწილი

მსოფლიოს დიდი ქალაქების წყალმომარაგების სისტემების ფუნქციონირების შესწავლამ აჩვენა, რომ, როგორც წესი, ხშირად ცდილობენ გამოიყენონ მიწისქვეშა წყლები, ვინაიდან ისინი ხასიათდებიან უკეთესი ხარისხობრივი მაჩვენებლებით, ვიდრე ზედაპირული წყლები, სჭირდებათ მცირე დანახარჯები წყლის დასამუშავებლად ან სრულებით არ სჭირდებათ გაწმენდა, გაუსწებოვნების დონისძიებათა ჩატარების გარდა. მიწისქვეშა წყლების გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა ზედაპირულ წყლებთან შედარებით ისაა, რომ იგი უზრუნველყოფს წყალმომარაგების სისტემის მდგრად მუშაობას ექსტრემალურ (ომის და სხვ) პირობებში.

ქალაქების განვითარება განაპირობებს წყალმომარაგების სისტემის განვითარებასაც, შესაბამისად საჭირო ხდება ახალი დამატებითი წყაროების ძიება. ამიტომ მნიშვნელოვანია სისტემის განვითარების რაციონალური დაგეგმვა მომავალ წლებში მომხმარებელთა უზრუნველყოფისათვის. თანამედროვე საზღვარგარეთის ქალაქების საიმედო (შეუფერხებელი) წყალმომარაგებისათვის განხორციელებულია სათავე ნაგებობების, წყალდენების და მანაწილებელი მილსადენების გამტარუნარიანობის გაზრდის რეზერვები. წყლით უზრუნველყოფის დახასიათება შესაძლებელია კოეფიციენტით, რომელიც მიიღება გამწმენდი სადგურის მწარმოებლობის (თუ ასეთი

მოქმედებს) ფარდობით მაქსიმალურ დღედამურ წყლის მოხმარებასთან. ეს კოეფიციენტი საზღვარგარეთ ზოგადად იცვლება 0,9–2,5–მდე. უმრავლეს ქალაქებში იგი აჭარბებს 1,3-ს. იყენებენ სხვა მახასიათებელსაც, როგორიცაა სუფთა წყლის რეზერვუარების ტევადობის ფარდობა წყლის მოხმარების საშუალო დღედამურ სიდიდესთან. რიგ ქალაქებში იგი იცვლება 0,14–1,75–მდე; უმრავლეს ქალაქებში იგი აჭარბებს 0,5-ს, ხოლო ზოგიერთში ტოლია 1,5 და მეტისაც. საქართველოს ქალაქების წყალმომარაგების სისტემებისათვის ეს კოეფიციენტები მერყეობს 0,7–2 ფარგლებში. კოეფიციენტების მიღებული სიდიდეები უნდა ემყარებოდეს ნატურული გაზომვების შედეგებს, რაც მოითხოვს დროისა და სახსრების გარკვეულ დანახარჯებს. საქართველოს დასახლებული პუნქტებისათვის გაზომვების ჩატარება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

საქართველოში მტკნარი წყლის რესურსები არათანაბრადაა განაწილებული, ამასთან სასმელი წყლის არარაციონალური გამოყენება უშუალოდაა დაკავშირებული მატერიალურ დანახარჯებთან, ამიტომ უნდა შეირჩეს ის დასახლებული პუნქტები, სადაც ყველაზე მწვავედაა წყლით უზრუნველყოფის საკითხები. არჩევენ სამი კატეგორიის წყალმოხმარებას: 1.საჭირო – მინიმუმი, ცხოვრების ნორმალური პირობების შესანარჩუნებლად, საწარმოო მიზნებისათვის საჭირო რაოდენობის ჩართვით, 2. გონიგრული – საჭიროზე ჭარბი რაოდენობა, რომელიც გამართლებულია ცხოვრების დონის ამაღლებით, 3. არაეფექტური – წყლის მოხმარების შემდგომი გაუმართლებელი ზრდა.

სასმელი წყლის მოხმარება ერთ მოსახლეზე საერთოდ იცვლება ფართო დიაპაზონში. ცნობილია, რომ ეს სიდიდე დამოკიდებულია: წყლის რესურსებით უზრუნველყოფაზე, შენობების საინჟინრო აღჭურვილობის დონეზე, ქალაქების ტერიტორიის გარე კეთილმოწყობაზე, მრეწველობის განვითარებაზე, მოსახლეობის ცხოვრების წესზე, კლიმატურ პირობებზე, წყლის ტარიფზე, დაწნევის ფაქტობრივ სიდიდეზე და სხვა ფაქტორებზე. არჩევენ სხვადასხვა ნორმატიულ ხელით ხარჯებს, როგორიცაა: კომპლექსური ნორმა, ნორმები უშუალოდ მოსახლეობისთვის, ტექნოლოგიური ნორმა საწარმოებისათვის, პროცედურული ნორმები სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების მომხმარებლებისათვის და ა.შ. ეკონომიკური ძირითად ქალაქებში კომპლექსური ნორმა იცვლება 200–400 ლ-ს ფარგლებში ერთ მცხოვრებზე, აშშ-ში იგი აღწევს 700–800 ლ-ს. საქართველოში, უმრავლეს ქალაქებისათვის ეს სიდიდე 300–450 ლ-ის ფარგლებშია; დედაქალაქში

კი აღწევს 800 ლ/დღე/კაცზე, გასული საუკუნის 70 და 90-იან წლებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, რომლებიც როგორც ნატურულ, ასევე სტატისტიკურ მასალას ეფუძნებოდა. დღეისათვის აუცილებელია ჩატარდეს ექსპერიმენტული კვლევები თანამედროვე საზომი ხელსაწყოების გამოყენებით. უნდა დაინერგოს ახალი მიდგომები საექსპლუატაციო ფაქტობრივი ხვედრითი ხარჯების შემცირების მიმართულებით. მიჩნეულია, რომ წყლის მოხმარების სიდიდე არ არის დამოკიდებული ქალაქის სიდიდეზე, თუმცა იკვეთება ამ სიდიდის დამოკიდებულება ბუნებრივ კლიმატურ პირობებთან დაკავშირებით. წყალმომარაგების სისტემებში არსებული დანაკარგების შესამცირებლად განიხილავენ ტექნიკურ, ფინანსურ, კანონმდებლობით და აღმზრდელობით ღონისძიებებს. აღრიცხვიანობის პროცენტის გაზრდა სისტემებში იწვევს წყლის მოხმარების და შესაბამისად დანაკარგების 3–12%-მდე შემცირებას. ასეთმა შემცირებამ უნდა გაამართლოს მრიცხველების დაყენებაზე გაწეული ხარჯები. სხვადასხვა ქალაქებში დანაკარგების სიდიდე მერყეობს 10–40 % ფარგლებში. საქართველოს უმრავლეს ქალაქებში დანაკარგების სიდიდე 30%-ის ფარგლებშია, მხოლოდ დედაქალაქში აჭარბებს 36–41%. აშშ-ში დანაკარგების სიდიდე 10–15%-ია. თუმცა იქ საქართველოსაგან განსხვავებით, მრიცხველებითაა დაფიქსირებული წყლის მიწოდებაც და მოხმარებაც. მიჩნეულია, რომ თუ დამის ხარჯი შეადგენს დღის ხარჯის 35%-ს, მაშინ ქსელი შესანიშნავ მდგომარეობაშია, თუ 35–50% – ქსელი კარგ მდგომარეობაშია. 50%–ზე მეტ შემთხვევაში საჭიროა ჩატარდეს ექსპერიმენტული კვლევები დანაკარგების გამოსავლენად.

დანაკარგების სიდიდეზე მოქმედი ფაქტორებიდან გამოირჩევა დაწნევის ფაქტობრივი სიდიდე. დაწნევის გაზრდით იზრდება დანაკარგები, ვინაიდან მაღალი წნევა ჟონვების წარმოშობას უწყობს ხელს. სხვადასხვა ქვეყნებში მიღებულია მუშა დაწნევის (მ-ში) შემდგენ სიდიდები: დიდ ბრიტანეთში – 30 (ზედა დონე), საფრანგეთში – 30 (მინიმალური), ირლანდიაში – 30,6 (ზედა), იტალიაში – 61,2 (ზედა), ნიდერლანდებში – 20 (ზედა). საქართველოს დედაქალაქში დაწნევის ფაქტობრივი სიდიდეები მერყეობს 50–90 მ-დე, რაც კიდევ უფრო ზრდის ჟონვების წარმოშობის პირობებს. ბუნებრივია, დაწნევის სიდიდის ნორმატიულამდე დაყვანა ქმედითი ღონისძიებაა. დანაკარგების მოძიებისა და აღრიცხვისათვის საჭიროა ხარჯებისა და წნევების ერთობლივი გაზომვების ჩატარება ქსელის სხვადასხვა მაკარნახებელ წერტილებში. დაკვირვებები უნდა მოიცავდეს რეზერვუარებში წყლის დონეების და სატუმბ სადგურებში ელექტრის ცვალებადობას.

ცენტრალიზებული წყალმომარაგების საიმედოობა ნიშნავს სისტემის უნარს უზრუნველყოს აბონენტები სასმელი წყლის საჭირო რაოდენობითა და სტანდარტების შესაბამისი ხარისხით. ასხვავებენ ტექნოლოგიურ და სანიტარულ საიმედოობას, თუმცა ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

ტექნოლოგიური საიმედოობის ასამაღლებელი ღონისძიებებია:

- წყლის მარაგების რეგულირება წყალმომარაგების წყაროში;
- ორი და მეტი წყაროს გამოყენება და სათავე ნაგებობების რიცხვის ზრდა;
- წყალდენების პერიფერიული დარგოლვა;
- სამარაგო–მარეგულირებელი რეზერვუარების ტევადობის ზრდა;
- ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია და ელექტრომომარაგების საიმედო ფუნქციონირების ზრდა;
- საექსპლუატაციო და საავარიო სამსახურების სრულყოფა.

სანიტარული საიმედოობის ასამაღლებელი ღონისძიებებია:

- წყალსატევების მოწყობა მდინარეებიდან და არხებიდან ერთბაშად მოვარდნილი დაბინძურებების აღსაკვეთად;
- ბიოტესტების გამოყენება ტოქსიკურ დაბინძურებების კონტროლისათვის;
- სანიტარულ ზონების ორგანიზაცია;
- მოსალოდნელი დაბინძურებების მოდელების დამუშავება;
- მანაწილებელ ქსელში მეორეული დაბინძურებების აღკვეთა;
- მოსახლეობის უზრუნველყოფა კატასტროფებისა და მსხვილი ავარიების პირობებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნავთობპროდუქტების, ქიმიური და რადიოაქტიური ნივთიერებების გადაზიდვას ავტომობილებითა და რკინიგზის ტრანსპორტით, მათზე ავარიების მოლოდინს, განსაკუთრებით სათავე ნაგებობებთან ახლოს. მნიშვნელოვანია ავტომატიზებული და დისტანციური მართვის სისტემების დანერგვა, რომლის დროსაც პროცესების რეგულირებისათვის გამოიყენება მმართველი ინფორმაციის მიღება უკუკავშირით. ამასთან გამოკვლეულ უნდა იქნეს წყლის რესურსების მოხმარების ინფრასტრუქტურა მონიტორინგისა და მართვის SCADA სისტემის დამუშავების მიზნით. დამუშავებული SCADA სისტემის დანერგვა სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებში (მსხვილ

მომხმარებლებში) მოიტანს რესურსების მოხმარების რეგულირებისა და დაზოგვის შესაძლებლობას.

წყალსადენების სისტემები ხასიათდება მილების მნიშვნელოვანი სიგრძეებით როგორც აბსოლუტური, ასევე ხვედრითი სიდიდეებით ყოველ 1000 მცხოვრებზე ან საშუალო დღედამურ მოხმარებაზე გადაანგარიშებით. საზღვარგარეთ საშუალო სიდიდემ ათას მცხოვრებზე სხვადასხვა ქალაქებისათვის შეადგინა 2 კმ, ხოლო მინიმალურმა 0,6–0,7 კმ, მაქსიმალური სიდიდე აჭარბებს 5 კმ-ს. თბილისისათვის მილსადენების ჯამური სიგრძე 3300 კმ-ია, ხოლო ყოველ ათას მცხოვრებზე – აბონენტთა დარიცხვის გათვალისწინებით – 3,3 კმ. წყლის ყოველ 1000 მ³/დღე–ის გატარებაზე მილსადენების უდიდესმა სიგრძემ სხვა ქალაქებში შეადგინა 10 კმ, თბილისისათვის ეს მონაცემი დაახლოებით 2 კმ-ია. ეს სიდიდე მიუთითებს არარაციონალურ მოხმარებაზე, რაც დაზუსტებას მოითხოვს.

წყალმომარაგების სისტემების ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული მომსახურე პერსონალის რაოდენობაზე, მძიმე სამუშაოთა მექანიზაციის და ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის, დისტანციური მართვის თანამედროვე საშუალოებებით უზრუნველყოფაზე. დიდ ქალაქებში ერთ მომსახურეზე საშუალოდ მოდის 500 მ³/დღე წყლის ქსელში მიწოდებიდან გამომდინარე, ზოგან 200–400 მ³/დღე, ხოლო უდიდესი მნიშვნელობა აჭარბებს 1000 მ³/დღე. ყოველ 10 ათას მცხოვრებზე 4–10 მომუშავეა. უფრო მცირე სიდიდით ხასიათდება ქალაქები, სადაც მიწისქვეშა წყლების თვითდენითი მიწოდებაა და მაღალავტომატიზებული სისტემებია დანერგილი. საქართველოში, კერძოდ თბილისში, თუ ჩავთვლით მოსახლეობის რაოდენობას 1200 ათას კაცს, მომუშავეთა რაოდენობა უნდა იყოს დაახლოებით 1000–1200 კაცამდე. სტატისტიკური მონაცემები ყველგან გადასამოწმებელია.

3. დასპპა

საქართველოს დასახლებული ადგილების მონაცემების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე დადგენილია, რომ წყლით უზრუნველყოფის პარამეტრები (წყლის მოხმარების ნორმები, დანაკარგები ქსელში, დაწნევები, საშუალო დღედამური ხარჯი, რეზერვუარების ტევადობა და სხვ.) საზღვარგარეთის დიდი ქალაქების წყალმომარაგების შესაბამის სიდიდეებთან შედარებით მნიშვნელოვნად

განსხვავებულია. გამოკვეთილია ფაქტობრივი პარამეტრების გაუმჯობესებისათვის მონაცემთა ექსპერიმენტულად მიღების აუცილებლობა.

სუფთა წყლის რეზერვუარების ტევადობის ფარდობა წყლის მოხმარების საშუალო დღედამურ სიდიდესთან, საქართველოს ქალაქების წყალმომარაგების სისტემებისათვის კოეფიციენტები მერყეობს 0,7-2 ფარგლებში.

საქართველოში, უმრავლეს ქალაქებისათვის სასმელი წყლის ფაქტობრივი მოხმარების ხვედრითი სიდიდე 300–450 ლ-ის ფარგლებშია; დედაქალაქში კი აღწევს 800 ლ/დღე/კაცზე. ამასთან, დანაკარგების სიდიდე 30%-ის ფარგლებშია, მხოლოდ დედაქალაქშია 36–41%. დაწევის ფაქტობრივი სიდიდეები მერყეობს 50–90 მ–მდე.

თბილისისათვის მიღსადენების ჯამური სიგრძე 3300 კმ-ია, ყოველ ათას მცხოვრებზე – აბონენტთა დარიცხვის გათვალისწინებით, მოდის – 3,3 კმ. წყლის ყოველ 1000 მ³/დღე-ის გატარებაზე მიღსადენების უდიდესმა სიგრძემ თუ სხვა ქალაქებში შეადგინა 10 კმ, თბილისისათვის ეს მონაცემი დაახლოებით 2 კმ-ია.

ლიტერატურა

1. СНиП 2. 04. 01 – 85. Внутренний водопровод и канализация зданий. М.: ЦИТПГосстроя СССР, 1986. - 56 с.
2. СНиП 2. 04. 02 – 84. Водоснабжение. Наружные сети и сооружения. М.: Стройиздат, 1985. - 136 с.
3. Методика определения неучтенных расходов и потерь воды в системах коммунального водоснабжения. Приказ Минпромэнерго РФ от 20 декабря 2004 г. № 172. с - 44.
4. Шевелев Ф.А., Орлов Г.А.. Водоснабжение больших городов зарубежных стран. - М.: Стройиздат, 1987. - 351 с.
5. Larry W. Mays. Water Distribution System. Handbook. Department of Civil and Environmental Engineering Arizona State University. 2001.

УДК 551.578

МАТЕМАТИЧЕСКАЯ МОДЕЛЬ НЕРАВНОМЕРНОГО ДВИЖЕНИЯ СВЯЗНОГО СЕЛЯ

И.Г. Круашвили, Э.Г. Кухалашвили, И.Д. Инашвили,

К.Н. Бзиава, И.Л. Климиашвили

(Грузинский технический университет)

Резюме: Описание условий движения селей и выведение соответствующих уравнений является функцией многих факторов. На основе проведенных исследований, исходя из реологической природы селя, получено дифференциальное уравнение установившегося движения. С учетом соответствующих допущений принята расчетная зависимость скорости неравномерного движения селя, значение которого меньше скорости водного потока и вызвано влиянием реологических параметров.

Ключевые слова: сель; установившееся движение; скорость.

1. ВВЕДЕНИЕ

Исходя из условий движения селей и отличия от других явлений, выбор и адаптирование расчетных моделей требует особых подходов. Описание условий движения и выведение дифференциальных уравнений с учетом многочисленных статистических факторов позволит решить ряд практических задач, которые будут оперативными средствами, на основе которых станет возможным усовершенствование методов расчета, планирование и конструирование противоселевых сооружений.

Многолетняя история изучения селей позволяет с приемлемой точностью вывести дифференциальные уравнения движения, интегрированием которых станет возможным программирование как изменения глубины потока по направлению движения, так и режима движения потока в любой ее части. В работе предпринимаются попытки описать установившееся неравномерное движение селя дифференциальным уравнением. Целью исследования является изучение гиперконцентрированных потоков с высокой плотностью.

Как известно, в реальности изменение условий движения потока (преодоление любого препятствия, сужение или расширение русла, изменение уклона основания русла и т.д.) вызывает изменение живого сечения и свободной поверхности потока.

2. ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

В работе рассмотрен случай, когда изменение кривизны свободной поверхности происходит на таком уровне, что скорость частиц перпендикулярна живому сечению. В данном случае, когда площадь живого сечения является функцией ширины и глубины, возможно пренебрежение составляющими скоростями.

Как известно, изменение полной энергии по направлению движения зависит от изменения реологических характеристик потока. Исходя из вышесказанного, можно записать:

$$E = Z + \frac{P}{\gamma} + \frac{\alpha V^2}{2g}. \quad (1)$$

Дифференцированием первого уравнения получаем:

$$\frac{dE}{dl} = \frac{dZ}{dl} + \frac{d\left(\frac{P}{\gamma}\right)}{dl} + \frac{d\left(\frac{\alpha V^2}{2g}\right)}{dl}, \quad (2)$$

где E - это полная энергия потока; Z - расстояние центра массы селя от условной поверхности; $\frac{P}{\gamma}$ - пьезометрический напор; $\frac{P}{\gamma} = h_p$. и $\frac{\alpha V^2}{2g}$ - скоростной напор.

Так как во втором уравнении $\frac{dE}{dl}$ является i_f уклоном сопротивления движения потока, а $\frac{dZ}{dl}$ – уклоном i основания русла, можно записать:

$$-i_f = -i + \frac{dh_p}{dl} + \frac{d\left(\frac{\alpha V^2}{2g}\right)}{dl}. \quad (3)$$

Так как в связных селях существует зависимость между напором и глубиной потока:

$$\frac{dh_p}{dl} = \psi \left(1 - \frac{h_0}{h}\right) \frac{dh}{dl}, \quad (4)$$

а когда $\alpha = 1$, соответственно $\frac{\alpha V^2}{2g} = \frac{V^2}{2g}$.

Дифференцированием скоростного напора получим:

$$\frac{d\left(\frac{V^2}{2g}\right)}{dl} = -\frac{Q^2}{g\omega^3} B \frac{dh}{dl} - \frac{Q^2}{g\omega^3} \frac{\partial \omega}{\partial l}. \quad (5)$$

Если учесть уравнения (4) и (5), в (3) получим:

$$-i_f = -i + \psi \left(1 - \frac{h_0}{h} \right) \frac{dh}{dl} - \frac{Q^2}{g\omega^3} B \frac{dh}{dl} - \frac{Q^2}{g\omega^3} \frac{\partial \omega}{\partial l}. \quad (6)$$

Преобразованием и упрощением уравнения (6), когда $\omega_p = K\omega$, получим:

$$\frac{dh}{dl} = \frac{i - i_f - \frac{Q^2}{g\omega^3} \frac{\partial \omega}{\partial l}}{\psi \left(1 - \frac{h_0}{h} \right) - \frac{Q^2}{g\omega^3} B}. \quad (7)$$

Так как уклон сопротивления $i_f = \frac{Q^2}{K^2 \omega^2 C^2 R}$, уравнение (7) примет вид

$$\frac{dh}{dl} = \frac{i - \frac{Q^2}{K^2 \omega^2 C^2 R} \left(1 - \frac{K^2 C^2 R}{g\omega^3} \frac{\partial \omega}{\partial l} \right)}{\psi \left(1 - \frac{h_0}{h} \right) - \frac{Q^2}{g\omega^3} B}. \quad (8)$$

Полученное уравнение (8) является дифференциальным уравнением установившегося неравномерного движения связного селя, движущегося в любом прямоугольном русле. Решение аналогичных задач дано в работах [1, 2, 3, 4, 5].

Как показывает анализ уравнения, приравнивание знаменателя к 0 указывает на критический режим и параллельность свободной поверхности потока к основанию русла, когда числитель равен 0, т.е. когда $\frac{dh}{dl} = 0$, имеет место установившееся равномерное движение потока. В нашем случае, когда $\frac{dh}{dl} = 0$,

$$i = \frac{Q^2}{K^2 \omega^2 C^2 R}. \quad (9)$$


Если внести значение расхода $Q = \omega V$ в уравнение (9), зависимость скорости движения плоского потока, т.е. $h = R$ примет вид

$$V = KC\sqrt{hi} = \left(1 - \frac{h_0}{h} \right) \psi C\sqrt{hi}. \quad (10)$$

Когда скорость потока V равна скорости ньютоновских жидкостей, тогда:

$$\frac{V}{V_h} = \left(1 - \frac{h_0}{h} \right) \psi. \quad (11)$$

Графическая иллюстрация уравнения (11), когда $\psi = 1$, т.е. $\varphi = 0$, дана на рисунке.



Графическая зависимость $\frac{V}{V_0} = f\left(\frac{h_0}{h}\right)$, когда $\Psi = 1$

3. ЗАКЛЮЧЕНИЕ

Как показывает изменение реологических характеристик, когда эквивалентная глубина связности равна глубине потока, поток прекращает движение, а с изменением угла внутреннего трения, т.е. с его увеличением, скорость потока уменьшается.

ЛИТЕРАТУРА

1. Круашвили И.Г., Кухалашвили Э.Г. Некоторые вопросы динамики селевых потоков. // Научные труды ГАУ «Вопросы инженерной экологии в гидротехнической мелиорации», 1996, с. 55-63.
2. Натишвили О.Г., Тевзадзе В.И. Основы динамики селей. Тбилиси: Мецниереба, 2007. - 214 с.
3. Coussot P. Mudflow Rheology and Dynamics, IAHR Monograph Series, A.A. Balkema: Rotterdam, 1997.
4. Kruashvili I., Kukhalashvili E., Inashvili I., Bziava K., Kirtava V. Computation of the hydraulic characteristics of the hyper-concentrated flows during flow over the debrisflow outlet. International Scientific conference “Climate change and its influence on sustainable and safe agricultural development.” Tbilisi, 2014, p.p. 345-348.
5. Takahashi T. Debris flow. Taylor & Francis Group, London, UK. 2007. 465 p.

შაგ 551.578

**არასტაციონარულობის საფუძველზე
ღვარცოფსაცავის მახასიათებლების ცვლილების
განონეომიერების ბანსაზღვრა**

ი. ყრუაშვილი, ე. კუხალაშვილი, ი. ინაშვილი, ი. კლიმიაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: განხილულია ღვარცოფსაცავის მახასიათებლების ცვლილების კანონზომიერება და არასტაციონარულობის საფუძველზე მიღებულია ღვარცოფსაცავში დაგროვილი ღვარცოფული მახის სიმაღლის, ღვარცოფის ხარჯისა და მიხილის გადაადგილების სიჩქარის საანგარიშო დამოკიდებულებები. მიღებული დამოკიდებულებების საფუძველზე, შესაძლებელია განისაზღვროს მახასიათებლების ცვლილების კანონზომიერება ღვარცოფის ტალღის გავრცელების ზონაში და შეირჩეს შესაბამისი ღვარცოფსაწინააღმდეგონაგებობა.

საპანძო სიტყვები: არასტაციონარულობა; ღვარცოფი; ღვარცოფსაწინააღმდეგონაგებობა.

1. შესაბამის

ღვარცოფული ხასიათის წყალსადინართა სათავის ზემო ნაწილში განლაგებულია ღვარცოფწარმომქმნელი კერები, რომლებიც ეროზიული ღრანტების ჩადაბლებულ ადგილს წარმოადგენენ. მათ ციცაბო ფერდობზე მიმდინარე გამოფიტვის მოვლენებისა და ეროზიული პროცესების შედეგად, ტალღური პროცესებით ერთმანეთზე ფენების დადებით, გროვდება კერებში ღვარცოფის მასა.

ბმული ღვარცოფის ტალღური სახით მოძრაობის მოდელი შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს: ტალღის ფრონტი უძრავია, თუ მისი გავრცელების სიჩქარე მეტია ან ნაკლებია ნაკადის მოძრაობის სიჩქარეზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომ-

დინარე, ტალღის გავრცელების სიჩქარის მიხედვით შეიძლება შეფასდეს დვარ-ცოფული მასის კრიტიკული მძაფრი და წყნარი მდგომარეობა.

დვარცოფებთან ბრძოლის კვლევის სადღეისო მონაცემები და არსებული სტატისტიკური მასალების ანალიზი ადასტურებს [1, 2], რომ დვარცოფწარმომქმნელი კერებიდან (დვარცოფსაცავებიდან) ფორმირებული მაღალი სიმკვრივის ნაკადების და თვით კერის მახასიათებლების ცვლილების კანონზომიერება, კერძოდ, კერის სიღრმის, დაძრული მასის ხარჯის და სიჩქარის დროში ცვლილების პროგნოზი, დაცვითი დონისძიებების შერჩევასა და კატასტროფებისაგან გაუვნებელყოფის ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობას წარმოადგენს.

2. მიზანთადი ნაშილი

დვარცოფსაცავის ტალღურად გარღვევის შემთხვევაში, ქვედა ბიეფში დვარცოფის დაუმყარებელი მოძრაობის კანონზომიერების შეფასების დროს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სენ-ვენანის ერთგანზომილებიანი დიფერენციალური განტოლებები, რომელთა ამოხსნის დროს უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:

1. სიჩქარის გრძივ მდგენელთან შედარებით, ვერტიკალურის უმნიშვნელობის გამო მათი პროცესებზე გავლენა მხედველობაში არ მიიღება;
2. დვარცოფის სიღრმის გრძივ ტალღასთან შედარებით, არცოუ ისე დიდი მნიშვნელობის გამო წნევის ცვლილება ემორჩილება ჰიდროსტატიკის კანონებს;
3. სადაწეო ფრონტის გარღვევის შემთხვევაში, ენერგიის დანაკარგი წინააღმდეგობების გათვალისწინებით თანაბარი მოძრაობის ადეკვატურად შეიძლება იქნეს მიღებული.

დვარცოფსაცავის უეცარი გარღვევის შემთხვევაში, გადმოდინებული ხარჯის გაანგარიშების დროს მართებულია შემდეგი სახის განტოლების გამოყენება:

$$\frac{dW}{dt} = -q, \quad (1)$$

სადაც q არის დვარცოფსაცავიდან გადმოდინებული ხარჯის სიდიდა; W – დვარცოფსაცავის მოცულობა; t – დვარცოფსაცავის დონის დაწევის ხანგრძლივობა.

ლვარცოფსაცავის უეცარი გარღვევის მომენტში პროცესი შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს: როცა $t = 0$, დაძრული მოცულობა W_0 -ის, ხოლო გარღვევის შემდეგ მისი მნიშვნელობა $W_{(t)}$ -ს ტოლია.

გარღვეულ კვეთში ლვარცოფის ლვარცოფსაცავიდან გადმოდინებას თუ წარმოვიდგენთ, როგორც ანალოგს ფართო ზღურბლიან წყალსაშვზე წყლის გადადინებისა, მაშინ დაძვრის პროცესის დროის მცირე dt მონაკვეთში ლვარცოფსაცავის სიღრმე მცირდება dH სიდიდით. ასეთ პირობებში გარღვეულ კვეთში გადმოდინებული ლვარცოფის მოცულობა ΩdH -ის, ხოლო ლვარსაშვზე H_0 -ის ტოლი იქნება. სტაციონარული პროცესის შესაბამისად, ლვარცოფის ხარჯის საანგარიშოდ შეიძლება შემდეგი ფორმულის გამოყენება:

$$q = mb\sqrt{2g}H_0^{3/2}, \quad (2)$$

სადაც b არის ლვარცოფის გარღვეული ნაწილის სიგანგ; m – ხარჯის კოეფიციენტი; H_0 – ჩამოყალიბებული ლვარცოფის მასის სიმაღლე კერის დასაწყისში; g – სიმძიმის ძალის აჩქარება.


ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ლვარცოფის ხარჯის კოეფიციენტის საანგარიშოდ სიჩქარის Ψ კოეფიციენტის ბმულობის ეკვივალენტური h_0 სიღრმისა და შინაგანი ხახუნის β კუთხესთან კავშირში, მიღებულია შემდეგი სახის დამოკიდებულება:

$$m = \Psi \frac{2\Psi^2 - \varphi \frac{h_0}{H_0}}{2\Psi^2 + \varphi} \sqrt{\frac{1 - \varphi \frac{h_0}{H_0}}{2\Psi^2 + \varphi}}. \quad (3)$$

არასტაციონარული პროცესების დროს ტალღის გავრცელების ხარჯის საანგარიშო ფორმულის მიხედვით, ხარჯის კოეფიციენტის საანგარიშო დამოკიდებულებებს, როდესაც კერის დახრის კუთხე არის 0, შემდეგი სახე აქვს:

$$m = \sqrt{\frac{1}{2} \left(1 - \frac{h_0}{H_0} \right) \varphi \cos \theta}. \quad (4)$$

რადგან m წარმოდგენილია რთული ფუნქციის სახით, სტაციონარული პროცესის შემთხვევაში, მის საანგარიშოდ მოცემულია ნომოგრამა, რომლის ცვლილება, როცა $\varphi = 1$ და $\frac{h_0}{H_0}$ -თან სხვადასხვა მნიშვნელობების დროს, მოცემულია გრაფიკის სახით (ნახ. 1).



ნახ. 1. $m = f\left(\varphi \frac{h_0}{H_0}\right)$ გრაფიკული დამოკიდებულება

იმ შემთხვევაში, როცა დვარცოფწარმომქმნელი კერა ოთკუთხა პრიზმის სახით არის წარმოდგენილი, (1) განტოლება შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

$$\frac{dW}{dt} = \frac{dW}{dH} \frac{dH}{dt} = \Omega \frac{dH}{dt}, \quad (5)$$

სადაც Ω არის დვარცოფსაცავის ხარჯის ზედაპირის ფართობი და $\omega(H) = \Omega$.

გაანგარიშების გაადვილების მიზნით, თუ გაწარმოებთ აპროქსიმაციას დვარცოფსაცავისას გეომეტრიულად ოთხეუთხა პარალელებიპედთან, როცა $\Omega = const$, შეიძლება დაგწეროთ შემდეგი სახის დამოკიდებულება:

$$W(H) = \Omega H. \quad (6)$$

(6) დამოკიდებულებიდან გამომდინარე, (1) განტოლება მიიღებს სახეს:

$$\Omega \frac{dH}{dt} = -q. \quad (7)$$

დვარცოფსაცავიდან ჩამომეწყრილი დვარცოფული მასის ხარჯის საანგარიშო დამოკიდებულება, როცა ტალღის სიმაღლე H -ის ტოლია, იქნება:

$$q = bH \sqrt{H \left(1 - \frac{h_0}{H}\right) \varphi g \cos \theta}, \quad (8)$$

სადაც b არის ღვარცოფის გარღვეული ნაწილის სიგანე; H – ღვარცოფსაცავიდან წარმოქმნილი ნაკადის სიმაღლე; h_0 – ბმულობის შინაგანი ხახუნის კუთხე; φ – კოეფიციენტი, რომელიც შინაგანი ხახუნის კუთხის ფუნქციაა; g – სიმძიმის ძალის აჩქარება; $\cos\theta$ – ღვარცოფსაცავის ფუძესთან დახრის კუთხე.

თუ შემოვიდებთ $K = \frac{h_0}{H}$ ადნიშვნას, გავამარტივებთ და გარდავქმნით (8) გან-

ტოლებას, მივიღებთ:

$$q = \sqrt{\frac{1-K}{2}} \varphi \cos\theta b \sqrt{2g} H^{\frac{3}{2}}. \quad (9)$$

(9)-ის გათვალისწინებით (7)-ში გვექნება:

$$\Omega \frac{dH}{dt} = -\sqrt{\frac{(1-K)}{2}} \varphi \cos\theta b \sqrt{2g} H^{\frac{3}{2}}. \quad (10)$$

ცვლადთა განცალებით და გარდაქმნებით (10) განტოლება მიიღებს სახეს:

$$\frac{dH}{H^{\frac{3}{2}}} = -\frac{\sqrt{\frac{(1-K)}{2}} \varphi \cos\theta b \sqrt{g} dt}{\Omega}. \quad (11)$$

(11) განტოლების ინტეგრირების საფუძველზე, გვექნება:

$$H = \left(\frac{\sqrt{(1-K)\varphi g} bt}{2\Omega} + c \right)^2. \quad (12)$$

ინტეგრირების მუდმივა განისაზღვრება განტოლებით:

$$\frac{1}{\sqrt{H}} = \left(\frac{\sqrt{(1-K)\varphi g} bt}{2\Omega} + c \right). \quad (13)$$

როცა $t = 0$, $W = W_0$, $H = H_0$ და $c = \frac{1}{\sqrt{H_0}}$.

ინტეგრირების მუდმივას განსაზღვრის შემდეგ, (13) განტოლება, სიღრმის ცვლილების კანონზომიერება $H = f[H(t)]$ ღვარცოფსაცავის დაცლისა დროში, მიღებს შემდეგ სახეს:

$$H_{(t)} = \frac{1}{\left(\frac{1}{\sqrt{H_0}} + \frac{\sqrt{(1-K)\varphi g \cos \theta} bt}{2\Omega} \right)^2}. \quad (14)$$

შესაბამისად, ღვარცოფის ხარჯი იქნება:

$$q_{(t)} = \sqrt{(1-K)\varphi g \cos \theta} b \frac{1}{\left(\frac{1}{\sqrt{H_0}} + \frac{\sqrt{(1-K)\varphi g \cos \theta} bt}{2\Omega} \right)^3}, \quad (15)$$

ხოლო საშუალო სიჩქარის დროში ცვლილებას ექნება შემდეგი სახი:

$$V_{(t)} = \frac{q_{(t)}}{H_{(t)}} = \frac{\sqrt{(1-K)\varphi g \cos \theta}}{b \left(\frac{1}{\sqrt{H_0}} + \frac{\sqrt{(1-K)\varphi g \cos \theta} bt}{2\Omega} \right)}. \quad (16)$$

მიღებული (14), (15) და (16) დამოკიდებულებები წარმოადგენს ღვარცოფსაცავის შესაძლო გარდვევის შემთხვევაში მისი მახასიათებლების დროში ცვლილების პარამეტრებს.


პარამეტრების $H_{(t)} = f(t)$, $q_{(t)} = f(t)$ და $V_{(t)} = f(t)$ ცვლილების კანონზომიერების სურათი, როცა ღვარცოფსაცავში დაგროვილი მასის სიმაღლე $H=3.0\text{m}$, $b=100.0\text{dm}$, სარკის ზედაპირის ფართობი $\Omega=6000.0 \text{ m}^2$, კერის სიგრძე $L=60.0\text{m}$, $\theta=0^\circ$, $K=0.5$, $\beta=30^\circ$, $\varphi=\tan^2\left(45^\circ - \frac{3}{2}\right)=0.33$, ღვარცოფსაცავის მოცულობა $W=18000 \text{ m}^3$, ღვარცოფის ფუძის დახრის კუთხი $\theta=0^\circ$ და $\cos\theta=1.1$, შინაგანი ხახუნის კუთხი $\varphi=30^\circ$, შესაბამისად, $\varphi=\tan^2\left(45^\circ - \frac{3}{2}\right)=0.33$ და $K=\frac{\sqrt{\varphi}-1}{\sqrt{\varphi}+0.75}$.

მოცემული მნიშვნელობების (14), (15) და (16) ფორმულებში შეტანით, პარამეტრების ცვლილების სურათი წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ განტოლებებში, რომელთა გრაფიკული ილუსტრაცია მოცემულია მე-2 ნახაზზე.

$$H_{(t)} = \frac{1}{(0.578+0.0067t)^2}. \quad (17)$$


$$q_{(t)} = 89.9 \left(\frac{1}{0.578 + 0.0067t} \right)^3. \quad (18)$$

$$V_{(t)} = \frac{q_{(t)}}{H_{(t)}}. \quad (19)$$



ნახ. 2. $H_{(t)} = f(t)$ და $q_{(t)} = f(t)$

დამოკიდებულების გრაფიკები



ნახ. 3. $V_{(t)} = f(t)$

დამოკიდებულების გრაფიკი

3. დასპეციალური მომსახურების დაგროვილი დანართები

არასტაციონარულობის საფუძველზე მიღებულია დვარცოფსაცავში დაგროვილი დვარცოფული მასის სიმაღლის, დვარცოფის ხარჯისა და მისი გადაადგილების სიჩქარის საანგარიშო დამოკიდებულებები. მიღებული (17), (18) და (19) დამოკიდებულებების საფუძველზე, ზემოთ მოცემული პარამეტრების შემთხვევაში, მე-2 და მე-3 ნახაზებზე დროში მოცემული ცვლილების კანონზომიერება ტალღის გავრცელების ზონაში, საშუალებას იძლევა შეირჩეს დვარცოფსაწინააღმდეგონაგებობა.

ლიტერატურა

1. ყრუაშვილი ი., კუხალაშვილი ე., სიჭინავა ნ. დვარცოფული ნაკადების დამყარებული არათანაბარი მოძრაობის დიფერენციალური განტოლება. // სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ტექნიკური საშუალებების სრულყოფის საკითხები. ნაწილი II, 1993, გვ. 75-87.
2. ყრუაშვილი ი., ქაცარავა თ., კუხალაშვილი ე. დვარცოფების შეშფოთებული ზონის საანგარიშო მახასიათებლები. აგრარული მეცნიერების პრობლემები. // სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ. №1. ობილისი, 1997, გვ. 229-235.

შავ 628.2

საქართველოს წყლის რესურსების ოპტიმალური გამოყენების და გარემოს ეფექტური დაცვის ღონისძიებები

დ. გუბელაძე, ი. ყრუაშვილი, გ. ნაცვლიშვილი,

ი. ინაშვილი, ა. დავითაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: საქართველო ძალაშე მდიდარია წყლის რესურსებით. თუმცა, ზედაპირული წყლების დიდი ნაწილი და რიგ შემთხვევაში, მიწისქვეშა წყლებიც დაბინძურებულია. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის/ხისუფთავის კონტროლი ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, რაც მათი მეტ-ნაკლებად ხანდო შეფასების ხაშუალებას არ იძლევა. თუმცა, ირიბი მონაცემები (მდინარეებში და სხვა წყალსატყევებში ჩაშვებული დამბინძურებელ ნივთიერებათა თდენობა და წყლისმიერი დაავადებების დინამიკა) ხაშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ წყლის ხარისხი როგორც ხახმელი წყლის ხისტემებში, ასევე ბუნებაში ხშირად არადამაკმაყოფილებებია. ამასთან, აღხანიშნავია, რომ ნიადაგის დაცვის პროცესები დიდ მნიშვნელობას იძენს მცირებიშიანი ქვეყნისათვის, ხადაც ეროზიული პროცესების, ნიადაგის გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანების, მეორეული დაჭაობებისა და დამღამების, ხახარგებლო წიაღისეულისა და ხაშენი მასალების ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი ხამურნეობის მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები.

საკვანძო სიტყვები: ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები; წყლის დაბინძურება; წყლის დაცვა; ნიადაგის დაცვა.

1. შესაბალი

ადამიანის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქმიანობა მკვეთრად აისახება დიდი და მცირე მდინარეების წყლის ხარისხზე. გამწმენდი ნაგებობების ეფექტური მუ-

შაობის შემთხვევაშიც კი, წყალში ხვდება დიდი რაოდენობით ორგანული ნივთიერებები, მიკრობული და პარაზიტული ბუნების დამაბინძურებლები, რომელთა განზავების შესაძლებლობა დაბალია. ეს შესამჩნევად თრგუნავს წყლის თვითგაწმენდის უნარსა და სანიტარიულ რეჟიმს, აფერხებს მთელ რიგ პროცესებს და აუარესებს წყლის ხარისხს. ამიტომ, ზედაპირული წყლების რესურსების რაციონალურ გამოყენებას, წყლის ხარისხის დაცვასა და შენარჩუნებას დიდი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მნიშვნელობა ენიჭება.

2. მიზანთაღი ნაწილი

მცირე ზომის წყლის ობიექტებისათვის განსაკუთრებით სახიფათოა საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ნახმარი წყლები. განსაკუთრებით საგანგაშოა პატარა მდინარეების გამოყენების მდგომარეობა, რომლებიც პიდროგრაფიული ქსელის ძირითად ნაწილს შეადგენენ და იძლევიან ქვენის წლიური ჩამონადენის 75%-ს. მათგან წყლის შეფარდებითი აღება გაცილებით მაღალია, ვიდრე დიდი მდინარეებიდან.

დაახლოებით მილიარდი კუბური მეტრი წყალი ყოველწლიურად გამოიყენება სარწყავად, სასმელად და სამრეწველო საჭიროებისათვის. გარდა ამისა, მტკნარი წყლის ობიექტები გამოიყენება ბანაობისათვის და სარეკრეაციო მიზნებისათვის, აგრეთვე თევზრეწვისა და საოვალო მეურნეობებისათვის.

მდინარეებში წყალი ინტენსიურად ჭუჭუიანდება სამრეწველო ობიექტებიდან, მეცხოველეობის ფერმებიდან, დასახლებული პუნქტებიდან და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან შხამ-ქიმიკატებისა და სასუქების შემცველი ნიაღვრული ჩამონადენით. ამიტომ, წყლის ხარისხი ზედაპირული წყლის პრაქტიკულად ყველა ობიექტში არასაიმედოა და ხშირად არ არის უსაფრთხო როგორც ეკოსისტემისათვის, ასევე ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. არსებობს ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანების რისკი ბანაობისას, ბევრი ობიექტი ვიზუალურადაც იმდენად დანაგვიანებულია, რომ ბანაობის ან სარეკრეაციო მიზნებისათვის გამოუდეგარია, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი სტრატეგიული დარგის, ტურიზმის განვითარების პოტენციალს (მათ შორის, თბილისის).

მცირე ზომის წყლის ობიექტები ხშირად გამორჩენილია სახელმწიფო მონიტორინგის სისტემიდან ან არ ექცევა სათანადო ყურადღება. ასევე არ არსებობს

მათი სანიტარიულ-ეკოლოგიური მდგომარეობისა და წყლის ხარისხის პიგიენური ნორმირებისათვის სრულყოფილი მეთოდოლოგიური ბაზა. მათი დაცვა როგორი და მრავალმხრივი საქმეა, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ზედაპირული წყლების დაბინძურება განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. მათგან ძირითადს განეკუთვნება:

- ✓ წყალსატევებში გაუსუფთავებელი (გაუწმენდავი) ჩამდინარე წყლების ჩადინება;
- ✓ გამოყენებული შესაწამლი ქიმიკატების ჩარეცხვა ჭარბი ნალექებისას;
- ✓ აირკვამლიანი გამონატყორცნები;
- ✓ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაუონვა.

ყველაზე დიდი ზიანი წყალსატევებისა და წყალნაკადებისათვის მოაქვს გაუწმენდავი საწარმოო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვებას. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები დიდი რაოდენობით ჩამოედინება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ნაგებობებიდან. ასეთი სახის ჩამდინარე წყლებში ჭარბობს სხვადასხვა ორგანული ნაერთები, ასევე მიკროორგანიზმები, რაც ბაქტერიულ დაბინძურებას იწვევს.

საქართველო მდიდარია ზედაპირული მტკნარი წყლებით. მდინარეების ჯამური წლიური ჩამონადენი 65,8 კმ³-ს შეადგენს, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ფორმირებული ჩამონადენი – 56,5 კმ³.

ზედაპირული წყლის რესურსების განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბარია: დასავლეთ საქართველოს მდინარეების (შავი ზღვის აუზი) ჯამური წლიური ჩამონადენი 49,7 კმ³-ს (ანუ 75%-ს) შეადგენს, აღმოსავლეთი მდინარეების (კასპიის ზღვის აუზი) კი – 16,1 კმ³-ს (ანუ 25 %-ს) შეადგენს.

სულ საქართველოში 26 060 მდინარეა, მათ შორის 99,4% - მცირე მდინარეებია (სიგრძე 25 კმ-ზე ნაკლები). პიდროლოგიურად შესწავლილია 555 მდინარე შავი ზღვის აუზში და 528 მდინარე კასპიის ზღვის აუზში.

საქართველოში ბევრია ბუნებრივი ტბა (სულ 860, ჯამური ფართობით 170 კმ²), 43 წყალსაცავი, აქედან 35 – კასპიის ზღვის აუზში (ჯამური მოცულობით 1703,8 მლნ.მ³) და 8 – შავი ზღვის აუზში (ჯამური მოცულობით 1471 მლნ.მ³).

საწარმოო ძალების განლაგებისას წყლის ფაქტორის არასრულყოფილი გათვალისწინება იწვევს საქართველოს ძირითადი მდინარეების არათანაბარ დატვირთ-

ვას. ასე მაგალითად, საქართველოს საზღვრებში მდ. მტკვრის აუზში, რომელზე-დაც მოდის რესპუბლიკის წყლის რესურსების 25%, კონცენტრირებულია მსხვილი სამრეწველო საწარმოები და სარწყავი ფართობები, რაზეც წლების განმავლობაში იხარჯება ქვეყანაში გამოყენებული წყლის რესურსების 80%-ზე მეტი. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა წყლის ობიექტების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედება.

ზედაპირულ წყლებს იცავენ გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრებისაგან. დანაგვიანების აღსაკვეთად გამოიყენება ღონისძიებანი, რომლებიც კრძალავსზედაპირულ წყალსატევებსა და მდინარეებში სხვადასხვა მყარი ნარჩენებისა და სხვა საგნების მოხვედრას. ზედაპირული წყლების დაშრების აღკვეთა ხდება წყლის მინიმალურად დასაშვები ჩადინების კონტროლით.

საქართველოში დაფიქსირებულია 750 დასახელების მიწისქვეშა სასმელი მინერალური წყალი. საქართველოს მიწისქვეშა პიდრორესურსებიდან წარმოშობილი მინერალური წყლების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს რესურსების ბუნებრიობა, სიუხვე, სტაბილურობა, არასეზონურობა და მაღალი ხარისხი. საქართველოში 700-მდე მიწისქვეშა მინერალური გრუნტის წყალია აღწერილი, მათ შორის განსაკუთრებული მინერალიზაციისა და თვისებების მქონე წყლები.

მიწისქვეშა წყლების დაცვის ძირითადი ღონისძიებებია მათი მიწისქვეშა მარაგის დაშრებისა და დაჭუჭყიანების აღკვეთა. ზედაპირული წყლების მსგავსად, ეს დიდი და რთული პრობლემაა, რაც შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ მთლიანი გარემომცველი გარემოს კომპლექსური დაცვით.

მტკნარი სასმელი მიწისქვეშა წყლების დაშრების აღსაკვეთად გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებები: მიწისქვეშა წყლების წყალაღების რეჟიმების რეგულირება; წყალამდებების რაციონალური განლაგება მთელ ფართობზე; საექსპლუატაციო მარაგის რაოდენობის განსაზღვრა, როგორც მათი რაციონალური გამოყენების ზღვარი და სხვ. მიწისქვეშა წყლების დაშრების აღკვეთასთან დაკავშირებით სულ უფრო ხშირად იყენებენ მისი მარაგის ხელოვნურ შევსებას ზედაპირული წყლების ინფილტრაციით წყლის ფენებში. მიწისქვეშა წყლები ამით დებულობენ დამატებით კვებას, რაც საშუალებას იძლევა გავზარდოთ წყალაღების მწარმოებლობა მიწისქვეშა წყლების დაშრების გარეშე.

მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანების საწინააღმდეგო დონისძიებები იყოფა ორ ჯგუფად: პროფილაქტიკური და სპეციალური. სპეციალური დონისძიებების ამოცანაა გაჭუჭყიანების წყაროს ლიკვიდაცია ან ლოკალიზება.

პროფილაქტიკური დონისძიებები წარმოადგენს მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის ძირითად სამუშაოს. ეს უპირველესად მოიცავს ჩამდინარე წყლების გაწმენდას, რითაც აღიკვეთება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება. მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანების აღკვეთის მნიშვნელოვანი დონისძიებაა სანიტარული ზონების მოწყობა წყალაღების რაიონების ირგვლივ.

საქართველოს კანონმდებლობით ზედაპირული მტკნარი წყლის დაცვის მიზნით, იქმნება წყალდაცვითი ზოლები და სანიტარული დაცვის ზონები. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იმ წყლის დაცვის მიზნით, რომელსაც იყენებენ სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ და საკურორტო საჭიროებისათვის, იქმნება სანიტარიული დაცვის ზონები.

წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონა იყოფა სამ სარტყელად და თითოეულ მათგანს განსაკუთრებული რეჟიმი აქვს.

ზედაპირული წყლების დაცვის მხრივ საყურადღებოა მათი მინიმალურად დასაშვები ჩამონადენის შემცირება, რაც მტკნარი წყლის დეფიციტს იწვევს. ეს გამოწვეულია წყლის გაჭუჭყიანებით, წყალსატევების თვითგასუფთავების უნარის შემცირებით, მიწისქვეშა წყლის მარაგის შემცირებით, წყაროების ჩამონადენი წყლის შემცირებით.

სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს მცირე მდინარეების (100 კმ-მდე სიგრძის) წყალუხვობისა და სისუფთავის ადდგენა, რაც მდინარეთა ეკოსისტემის ძირითად რგოლს წარმოადგენს. განსაკუთრებით მცირე მდინარეები აღმოჩნდნენ ყველაზე მგრძნობიარენი ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ.

მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მიწისქვეშა წყლებისა და წყლის სხვა ობიექტების ბუნებრივი რეჟიმის შენარჩუნების მიზნით, ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის, წყალსატევების მოლამგის, წყლის ცხოველთა საბინადრო გარემოს გაუარესების თავიდან ასაცილებლად, წყლის ჩამონადენის ცვალებადობის შესამცირებლად და სხვ., იქმნება წყლის დამცავი ტყის ზონები, აგრეთვე ტარდება სატყეო-სამელიორაციო, ეროზიის საწინააღმდეგო, პიდროტექნიკური და სხვა დონისძიებები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

წყალდაცვითი პრობლემების რიგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სასმელი წყალმომარაგებისათვის ზედაპირული წყლების გაუვნებელყოფისა და გაწმენდის ეფექტური მეთოდების დამუშავება და დანერგვა. სასმელი წყლის არასაკმარისი გასუფთავება სახიფათოა როგორც ეკოლოგიური, ასევე სოციალური თვალთახედვით.

ნიადაგის ეროვნის საწინააღმდეგოდ აუცილებელია შემდეგი კომპლექსური დონისძიებები: მიწისმოწყობის, აგროტექნიკური, ტყე-მელიორაციული და პიდროტექნიკური. ამასთან გაითვალისწინება, რომ პიდროტექნიკური დონისძიება განსაზღვრულ ტერიტორიაზე ეროვნის განვითარებას აჩერებს მისი მოწყობისთანავე, აგროტექნიკური - მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, ხოლო ტყე-მელიორაციული - მისი დანერგვიდან 10-20 წლის შემდეგ.

ძლიერ ეროვნირებული ნიადაგების აღსადგენად აუცილებელია კომპლექსური დონისძიებები: დაზოლილი მიწათმოქმედება ე.ი. ტერიტორიის ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც ველების სწორხაზოვანი კონტურები ენაცვლება ნიადაგდაცვით ტყის ზოლებს, ნიადაგდაცვითი თესვითბრუნვა (ნიადაგების დეფლიაციისაგან დასაცავად), სხვადასხვა პიდროტექნიკური დონისძიებები (არხების, ტერასების, წყალგამყვანი ნაგებობებისა და სხვ.) მოწყობა და ა.შ.

ნიადაგების დაჭაობებასთან საბრძოლველად საკმარისი ან ზედმეტი დატენიანების რაიონებში წყლის მიმოცვლის ბუნებრივი რეჟიმის დარღვევასას იყენებენ სხვადასხვა გამშრობ მელიორაციას. დაჭაობების მიზეზებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს გრუნტის წყლების დონის შემცირება დრენაჟის დახმარებით, დამბების მშენებლობა და მდინარის კალაპოტის შეცვლა (დატბორვის თავიდან ასაცილებლად), კლდეების ატმოსფერული წყლების შებოჭვა და გადასროლა და სხვ. ამასთან, დიდი ფართობების ზედმეტმა გამოშრობამ შეიძლება გამოიწვიოს არსასურველი ცვლილებანი ეკოსისტემაში: ნიადაგების ზედმეტი გამოშრობა, მათი დეგუმიფიკაცია და დეკალცინირება, მცირე მდინარეების შრობა, ტყეების გახმობა და სხვ.

ნიადაგების მეორადი დამლაშების აღსაკვეთად აუცილებელია დრენაჟების მოწყობა, წყლის მიწოდების რეგულირება, მაქსიმალურად გამოვიყენოთ წვიმით მორწყვა, სარწყავი არხების პიდროიზოლაციის სამუშაოების ჩატარება და სხვ.

პესტიციდებითა და სხვა მავნე ნივთიერებებით ნიადაგის გაჭუჭყიანების აღსაკვეთად იყენებენ მცენარეთა დაცვის ეკოლოგიურ მეთოდებს (ბიოლოგიურ, აგროტექნიკურ და სხვ.), ამაღლებენ ნიადაგის თვითგასუფთავების ბუნებრივ უნარს, არ იყენდების მეორადი დამლაშების აღსაკვეთად აუცილებელია დრენაჟების მოწყობა, წყლის მიწოდების რეგულირება, მაქსიმალურად გამოვიყენოთ წვიმით მორწყვა, სარწყავი არხების პიდროიზოლაციის სამუშაოების ჩატარება და სხვ.

ნებენ განსაკუთრებულად საშიშ და მდგრად ინსექტიციდურ პრეპარატებს და სხვ. მაგალითად, ფართოდ გამოიყენება აგროსისტემებში სხვადასხვა მტაცებელი მწერების (მაგ, ჭიანჭველების) შეყვანა და მოშენება (ბიოლოგიური დაცვა), ასევე იყენებენ პრეპარატებს, რომლებიც შეიცავს მავნებლების დამავადებელ ბაქტერიებს. მავნე სახეობების გავრცელებასთან საბრძოლველად მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ბიოტექნოლოგიამ, კერძოდ გენეტიკურმა მეთოდმა, რომელიც დაფუძნებულია გარემოში გენეტიკურად მახინჯი შთამომავლობის მომცემი დედალი-მავნებლების გაშვებაზე, რის შედეგადაც პოპულაციის რიცხოვნობა მკვეთრად იცვლება. ამ შემთხვევაში დაცვის ქიმიური მეთოდების გამოყენება მკვეთრად მცირდება.

მიწების დაზიანებისას ისინი კარგავენ საწყის მნიშვნელობას და უარყოფითად ზემოქმედებენ გარემოზე. რეკულტივაციის ობიექტებს განეკუთვნებიან:

- ✓ კარიერული ამოთხრა, ტერიკონები, საყრელები, საყარი ღრმულები და სხვ.
- ✓ მიწები, რომლებიც ზიანდება სამშენებლო მრეწველობისას;
- ✓ მყარი ნარჩენების პოლიგონების ტერიტორია;
- ✓ მიწები, რომლებიც დაზიანებულია თხევადი და აიროვანი ნარჩენებით (მიწების ნავთობდაბინძურება და სხვ). ამ მხრივ, გამოირჩევა ბიოლოგიური და სამშენებლო რეკულტივაცია.

ტექნიკური რეკულტივაცია ნიშნავს დაზიანებული ტერიტორიების წინასწარ მომზადებას. სამუშაოების შედგენილობაში შედის: ზედაპირების დაგეგმვა, მოსავლიანი ნიადაგის მოჭრა, ტრანსპორტირება და შეტანა სარეკულტივაციო მიწებში, მიწების ნაკვეთების მომზადება.

ბიოლოგიური რეკულტივაცია ტარდება ტექნიკური რეკულტივაციის შემდეგ. მომზადებულ ნაკვეთებზე ირგვება მწვანე ნარგავები, იქმნება ფლორისა და ფაუნის განვითარების პირობები, მაგრდება ნაყარი გრუნტი და ხდება მისი დაცვა ეროზიისაგან.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, რომლის ფართობი 69,7 ათასი კვადრატული კმ-ია.

მიწის საერთო რესურსიდან სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი შეადგენს – 3 023 000 ჰა-ს, მათ შორის:

- ✓ საკარმიდამო მიწები – 20 000 ჰა;
- ✓ სახნავი – 800 000 ჰა;
- ✓ საობები – 143 000 ჰა;

- ✓ მრავალწლიანი ნარგავები – 265 000 ჰა;
- ✓ საძოვრები – 1 795 000 ჰა.

არასასოფლო-სამეურნეო მიწები 900 000 ჰა:

- ✓ საცხოვრებელი ფართობის ქვეშ არსებული მიწები – 90 000 ჰა;
- ✓ საწარმოო/ურბანული მიწები – 635 000 ჰა;
- ✓ სახ. დაწესებულებებისა და კომუნიკაციების ქვეშ არსებული მიწები – 175 000 ჰა.

ნიადაგის დაცვის პრობლემა დიდ მნიშვნელობას იძენს მცირემიწიანი ქვეყნისათვის, სადაც ეროზიული პროცესების, ნიადაგის გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანების, მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულისა და საშენი მასალების დია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქვეყანაში მთელი რიგი წლების განმავლობაში მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისა და სანიტარიის სფეროში ვერ მოიხსნა ისეთი ძირითადი პრობლემები, როგორიცაა: წყალმომარაგების სისტემების მიღსადენებისა და გამანაწილებელი ქსელების დაბალი სანიტარიულ-ტექნიკური საიმედოობა, სასმელი წყლის დეფიციტი, სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლების ანთროპოგენური დაბინძურება და სხვა, რის გამოც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ დებულობს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებით გათვალისწინებული ხარისხიანი სასმელი წყლის რაოდენობას.

ბოლო წლებში ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო საწარმოების მიერ გარემოს ობიექტების ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურება, მათ შორის ჩამდინარე სამრეწველო წყლებით. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში წყლის ხარისხი არ შეესაბამება და მომავალშიც, იმის გამო, რომ მთელი რიგი ქიმიური ნივთიერებები, მათ შორის ნიტრატები, მეტ-ნაკლები ინტენსივობით მუდმივად იმყოფება გრუნტის წყლებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ არ იქნება შესაბამისობაში ნორმატიულ მოთხოვნებთან. გარდა ამისა, ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში არ გამოირიცხება ნიტრატების შემცველი სასუქების გამოყენების მასშტაბების გაფართოება.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს ევროკავშირის ქვეყნებს და მათი გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს საქართველოში გარემოს დაცვის ეფექტური დონისძიებების გატარებას და ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის წარმოებას.

3. დასპბა

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქვეყანაში მთელი რიგი წლების განმავლობაში მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისა და სანიტარიის სფეროში ვერ მოიხსნა ისეთი ძირითადი პრობლემები, როგორიცაა: წყალმომარაგების სისტემების მიღსადენებისა და გამანაწილებელი ქსელების დაბალი სანიტარიულ-ტექნიკური სამედიცინო, სასმელი წყლის დაფიციტი, სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლების ანთროპოგენური დაბინძურება და სხვ., რის გამოც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ დებულობს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებით გათვალისწინებული ხარისხიანი სასმელი წყლის რაოდენობას, რაც ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ეკოლოგიური და გარემოს დაცვითი დონისძიებების საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამის სტანდარტების დამკვიდრებას.

ლიტერატურა

1. გუბელაძე დ. სარწყავი სისტემების ეფექტური ფუნქციონირება საირიგაციო ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში. // ურნალი „მშენებელი“ №4(31) სტუ, თბილისი, 2013. – 108 გვ.
2. საქართველოს მდინარეების მცირე პიდროენერგეტიკული ტექნიკური პოტენციალის კადასტრი. – საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა კელევითი ინსტიტუტი, თბილისი, 2006. – 480 გვ.
3. საქართველოს რეგიონალური განვითარება. თბილისი, 2009. – 162 გვ.

შაგ 551.578

ლგარცოფულ პერებში დაბროვილი მასის წონასწორობის რჩვების განსაზღვრა ხარისხობრივი ფუნქციების გამოყენებით

ი. ყრუაშვილი, ე. კუხალაშვილი, ი. ინაშვილი, ი. კლიმიაშვილი
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: ლგარცოფსაცავების პარამეტრების ცვლილების კანონზომიერების დადგენა და გაანგარიშების მეთოდების სრულყოფა ისეთ თავრატიულ ხაშუალებებს მოითხოვს, რომლის გამოყენებით სრულყოფილად აღწერილი იქნება მასში განთავსებული ლგარცოფული მასის მდგრადობის რღვევისა და დაძრის პროცესის მექანიზმი. ხარისხობრივი ფუნქციების გამოყენებით მიღებულია ლგარცოფსაცავში დაგროვილი ლგარცოფული მასის სიმაღლის, ლგარცოფის ხარჯისა და მისი გადაადგილების სიჩქარის ხაანგარიშო დამოკიდებულებები. კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ თეორიულად და ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე მიღებულ K -ს მნიშვნელობებს შორის განსხვავება არ აღემატება 10%-ს.

საკვანძო სიტყვები: ლგარცოფსაცავი; რეოლოგია; ლგარცოფის ხარჯი.

1. შესაბამის

კერიდან ლგარცოფის დაძრა მრავალი ურთიერთმართვადი ფაქტორის ფუნქციას წარმოადგენს და პროცესის მექანიზმის სრულად წარმოდგენა გარკვეული კატეგორიის შუალედური ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობას საჭიროებს.

შუალედურ ამოცანათა შორის განსაკუთრებული ადგილი წონასწორობის რღვევის კვლევას და მათი მათემატიკური მოდელირების საკითხების დაზუსტებას უკავია. ლგარცოფული ტანის წონასწორობის რღვევის შეფასების დროს პირველი მიახლოებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხარისხობრივი ფუნქციები. კვლევის მირითად მიზანს ლგარცოფსაცავში დაგროვილი ლგარცოფწარმოქმნელი მასის

მოძრაობის დაწყების სიჩქარის, სიმაღლის და ხარჯის დროსთან კავშირში ცვლილების კანონზომიერების დაზუსტება წარმოადგენს.

როგორც ბუნებაში ჩატარებული კვლევის მონიტორინგის მასალები ადასტურებს, კერებში ჩამოყალიბებული ღვარცოფწარმომქმნელი მასის ზღვრული წონას-წორული მდგომარეობის შესაძლო დარღვევის დროს ჩამომეწყრილ და ნარჩენ მასას შორის გამავალი ზედაპირების წირი არის არაწრფივი და მისი მრუდწირულობა ფიზიკურ-მექანიკურ და რეოლოგიურ მახასიათებლებთან არის დაკავშირებული.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად კვლევის არსებული მასალები, სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით, ადასტურებს, რომ ღვარცოფის მასის დაძვრა, მისი მახასიათებლების ცვლილების პროგნოზირების შესწავლის დონე, მიუხედავად პრობლემისადმი მიძღვნილი უამრავი სამეცნიერო შრომისა, იმდენად დაბალია, რომ საპროექტო დაწესებულებები და სამშენებლო ორგანიზაციები დღესაც განიცდის საიმედო რეკომენდაციების დეფიციტს ღვარცოფსაწინააღმდეგო პროექტების გადაწყვეტის დროს.

2. მიზანთადი ნაწილი

ღვარცოფულ კერებში, ეროზიულ ღრანტეებში, გამოტანის კონუსებზე განთავსებული ღვარცოფული მასის ბმული მდგომარეობის შესწავლის სურათიდან გამოვლინდა ზღვრულ წონას-წორობაში მყოფი ღვარცოფის ზედაპირზე გამავალი წირის მრუდის ფორმა. აღმოჩნდა, რომ ღვარცოფწარმომქმნელი მასის სიღრმესა და გავრცელების ზონის სიგრძეს შორის კავშირი მრუდწირულია და მისი ფორმის ნათლად წარმოჩნდის მიზნით ამ კავშირის აღწერა შეიძლება ხარისხობრივი დამოკიდებულებით, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$Y = ax^b, \quad (1)$$

სადაც a და b არის კოეფიციენტი და ხარისხის მაჩვენებელი, რომელთა სიდიდე ღვარცოფთა რეოლოგიურ და ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებთანაა უშუალოდ დაკავშირებული; Y – ჩამომეწყრის სიღრმის ცვლილების კოორდინატი; x – წონას-წორული ზედაპირის გავრცელების ზონის სიგრძე.

ჩამომეწყრილი ფართობის სიდიდე, როცა $a > 0, b > 0$ და $x = L$, შეიძლება განისაზღვროს ფორმულით:

$$S = LaL^b - \int_0^L ax^b dx = aL^{1+b} - \frac{aL^{1+b}}{1+b}. \quad (2)$$

როცა (1) დამოკიდებულებაში, $Y = H, x = L$ და $H = aL^b$, ამიტომ (2)-ში L -ის სიდიდეს თუ გამოვსახავთ დვარცოფწარმომქმნელი მასის H სიდროით, გვექნება:

$$S = \frac{ab}{1+b} \left(\frac{H}{a}\right)^{\frac{1+b}{b}} = \frac{b}{(1+b)a^{\frac{1}{b}}} H^{\frac{1+b}{b}}. \quad (3)$$

როცა კერის სიგანე 1-ის ტოლია, W ჩამომეტყრის მოცულობა შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს ფორმულით:

$$W = \frac{b}{(1+b)a^{\frac{1}{b}}} H^{\frac{1+b}{b}}. \quad (4)$$

თეორიული კვლევებით მიღებულია, რომ დვარცოფული კერიდან დაძრული მასის საანგარიშო დამოკიდებულებას ბრტყელი ნაკადის შემთხვევაში, როცა ტალღის სიმაღლე უმნიშვნელოა:

$$q = H^{\frac{3}{2}} \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{H}\right) \varphi g}. \quad (5)$$

შესაბამისად, დაძრული მასის მოცულობის სიდიდეს t დროის გათვალისწინებით:

$$W = tH^{\frac{3}{2}} \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{H}\right) \varphi g}. \quad (6)$$

თუ (6)-ს გავუტოლებო (4)-ს, გვექნება:

$$\frac{b}{(1+b)a^{\frac{1}{b}}} H^{\frac{1+b}{b}} = tH^{\frac{3}{2}} \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{H}\right) \varphi g}. \quad (7)$$

(7) ტოლობაში, როცა $t = t_0$, შეიძლება განსაზღვრულ იქნეს დაგვრის t_0 სიდიდე:

$$t_0 = \frac{b}{(1+b)a^{\frac{1}{b}} \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{H}\right) \varphi g}}. \quad (8)$$

(8) დამოკიდებულებაში t_0 დროის განსაზღვრა სპეციალური კვლევების ან აქსერიმენტების ჩატარებას საჭიროებს.

აღსანიშნავია, რომ დვარცოფწარმომქმნელ კერებში მასის წონასწორობის მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორები განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მოძრაობის დაწყებაზე და დაძრული მასის მახასიათებლების დროში ცვლილების კანონზომიერებებზე.

კვლევის არსებული სტატისტიკური მასალების საფუძველზე დვარცოფსაცავებში ჩამოყალიბებული დვარცოფის მასის გარღვევის შემთხვევაში მისი მახასიათებლების ცვლილება, კერძოდ, მოცულობის დროსთან კავშირი შეიძლება აღწერილ იქნეს დიფერენციალური განტოლებით, ე.ი., მოცულობის ცვლილების პროგნოზირების დროს სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით, აღნიშნული პროცესის საანგარიშოდ შერჩეულ მოდელს აქვს სახე:

$$\frac{dW}{dt} = -q, \quad (9)$$

სადაც q არის დვარცოფსაცავიდან დაძრული ნაკადის ხარჯი; t დვარცოფსაცავის დაცლის დრო.

რადგან დვარცოფსაცავიდან დაძრული მასის მოცულობა დროისა და ხარჯის ნამრავლის ფუქნციას წარმოადგენს, ე.ი.:

$$dw = d(qt) = qdt + t dq, \quad (10)$$

(10) დამოკიდებულების ინტეგრირების საფუძველზე გვექნება:

$$-2 \ln t = \ln q + c. \quad (11)$$

(11) განტოლებაში, როცა $t = t_0, W = W_0, q = q_0, c = 2 \ln t_0 + \ln q$, მივიღებთ:

$$\left(\frac{t}{t_0}\right)^2 = \frac{q}{q_0}. \quad (12)$$

როგორც (4) განტოლება გვიჩვენებს, დვარცოფსაცავიდან ჩამომეწყრილი მყარი მასის მოცულობას სიღრმესთან ხარისხობრივი დამოკიდებულება გააჩნია.

თუ შემოვიდებთ აღნიშვნას $\frac{b}{(1+b)a^{\frac{1}{b}}} = A$ და $\frac{1+b}{b} = K-1$, მივიღებთ:

$$W = AH^K. \quad (13)$$

(13) განტოლებაში, როცა $t = t_0$, მაშინ $W = W_0, H = H_0$ და $q = q_0$; როცა დრო t -ს ტოლია, მაშინ $W = W_t, H = H_t$ და $q = q_t$. დაშვების შესაბამისად, დვარცოფწარმომქმნელი მასის მოცულობის ცვლილება სიღრმესთან კავშირში მიიღებს სახეს:

$$W_0 = AH_0^K, \quad (14)$$

$$W_t = AH_t^K. \quad (15)$$

შესაბამისად, დაძრული მასის ხარჯების საანგარიშო დამოკიდებულებებს ექნება სახე:

$$q_0 = \frac{AH_0^K}{t_0}, \quad (16)$$

$$q_t = \frac{AH_t^K}{t_t}. \quad (17)$$

(16)-ის და (17)-ის გათვალისწინებით (12)-ში, გვექნება:

$$t = t_0 \left(\frac{H_0}{H_t} \right)^K. \quad (18)$$

ღვარცოფულ მასაში წნევის სიდრმეზე განაწილების თავისებურებიდან გამომდინარე მიღებულია, რომ:

$$P = \frac{\gamma H_0^2}{2} \left(1 - \frac{h_0}{H_0} \right)^2 \varphi. \quad (19)$$

მე-(19) განტოლების ორივე მხარეს თუ გავყოფთ γ -ზე, მივიღებთ ზღვრული წონასწორული მდგომარეობის შესაბამის ღვარცოფის მოცულობას:

$$W = \frac{H_0^2}{2} \left(1 - \frac{h_0}{H_0} \right)^2 \varphi. \quad (20)$$

საწყის მომენტში, როცა $t = t_0$, ღვარცოფის დაძრული მასის შესაბამისი ხარჯის სიდიდეს ექნება სახე:

$$q_0 = \frac{H_0^2}{2t_0} \left(1 - \frac{h_0}{H_0} \right)^2 \varphi, \quad (21)$$

ხოლო t მომენტისათვის უწყვეტობის საფუძველზე, ხარჯის საანგარიშო დამოკიდებულებას ექნება სახე:

$$q_t = \frac{H_t^2}{2t} \left(1 - \frac{h_0}{H_0} \right)^2 \varphi. \quad (22)$$

(21) განტოლებას თუ გავუტოლებთ (5)-ს, მივიღებთ:

$$H_0^{\frac{3}{2}} \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{H_0} \right) \varphi g} = \frac{H_0^2}{2t_0} \left(1 - \frac{h_0}{H_0} \right)^2 \varphi. \quad (23)$$

(23) განტოლებიდან t_0 დრო, რომელიც დაძვრის საწყის მომენტს შეესაბამება, ტოლი იქნება:

$$t_0 = \frac{1}{2} H_0^{\frac{1}{2}} \left(1 - \frac{h_0}{H_0}\right) \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{H_0}\right) \frac{\varphi}{g}} \quad (24)$$

(18) განტოლებიდან t დროის შესაბამისი H_t ლგარიტომის სიღრმის საანგარიშო დამოკიდებულებას ექნება სახე:

$$H_t = H_0 \left(\frac{t_0}{t}\right)^{\frac{1}{K}}. \quad (25)$$

(24)-ის გათვალისწინებით (25)-ში, გვექნება:

$$H_t = \left(\frac{1}{2t}\right)^{\frac{1}{K}} H_0^{\frac{1+2K}{2K}} \left(1 - \frac{h_0}{H_0}\right)^{\frac{3}{2K}} \left(\frac{\varphi}{g}\right)^{\frac{1}{2K}}. \quad (26)$$

დაძრული მასის ხარჯის დროსთან კავშირი გამოისახება ფორმულით:

$$q_t = \left(\frac{1}{t}\right)^2 \frac{\varphi}{2} H_0^{\frac{1+2K}{2}} \sqrt{\left(1 - \frac{h_0}{H_0}\right)^7 \frac{\varphi}{g}}. \quad (27)$$

ხოლო დაძრული მასის სიჩქარის დროსთან კავშირს ექნება სახე:

$$V_t = \left(\frac{1}{2t}\right)^{\frac{2K-1}{K}} \varphi H_0^{\frac{2K^2-K-1}{2K}} \left(1 - \frac{h_0}{H_0}\right)^{\frac{7K-3}{2K}} \left(\frac{\varphi}{g}\right)^{\frac{K-1}{K}}. \quad (28)$$

თეორიულად A -ს მნიშვნელობაა: $A = \left(1 - \frac{h_0}{H_0}\right)^2 \varphi$, ხოლო $K = 2$ -ს. თეორიულად მიღებული A -სა და K -ს მნიშვნელობების სიზუსტის შემოწმების მიზნით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გვესარგებლა საველე ექსპერიმენტული კვლევის მასალებით. ექსპერიმენტული კვლევის მასალად გამოყენებულია მდინარე არაგვის ლგარიტომული ხასიათის შენაკადებზე ნაკადის გავლის შედეგად გამოტანილი მყარი მასალის მონაცემები, რადგან ეს შენაკადები ლგარიტომების შესწავლის თვალსაზრისით კლასიკურ ხასიათს ატარებს. მათ მიერ ლგარიტომული გამოტანის მასის ფორმები, ანუ, ჩამომეწყრილი ფართობების კავშირის სახე მის შინაგანი ხახუნის კუთხესთან გრაფიკის სახით მოცემულია 1-ელ ნახაზზე.

უმცირეს კვადრატო მეთოდის გამოყენებით β შინაგანი ხახუნის კუთხის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის ჩამომეწყრის ფართობის სიმაღლესთან კავშირი გამოისახება შემდეგი დამოკიდებულებებით:

$$S_1 = 1.68H^{1.82}, \quad \text{როცა } \beta = 35^\circ; \quad (29)$$


$$S_1 = 2.04H^{1.82}, \quad \text{როცა } \beta = 25^\circ; \quad (30)$$

$$S_1 = 2.61H^{1.82}, \quad \text{როცა } \beta = 15^\circ; \quad (31)$$

$$S_1 = 3.37H^{1.82}, \quad \text{როცა } \beta = 5^\circ. \quad (32)$$

მიღებული განტოლებების საფუძველზე, შესაბამისად, K -ს მნიშვნელობა $K = 1.81$, ხოლო A -ს საანგარიშო დამოკიდებულებას აქვს სახე:

$$A = \frac{1}{2} \left(\frac{1 + 0.625 \tan \beta}{0.08 + 0.55 \tan \beta} \right)^{0.64}. \quad (4.2.33)$$



ნახ. 1. $\omega = f(h)$ დამოკიდებულების გრაფიკი,
როცა $\gamma = 2$ ($\text{გ}/\text{მ}^3$).


თუ თეორიულად მიღებულ A -სა და K -ს მნიშვნელობებს გავითვალისწინებთ (26), (27) და (28) განტოლებებში, მივიღებთ:

$$H_t = \sqrt{\frac{1}{2t}} H_0^{1.25} \left(1 - \frac{h_0}{H_0}\right)^{0.75} \left(\frac{\varphi}{g}\right)^{0.25}, \quad (34)$$


$$q_t = \left(\frac{1}{2t}\right)^2 H_0^{2.5} \left(1 - \frac{h_0}{H_0}\right)^{3.5} \sqrt{\frac{\varphi}{g}}, \quad (35)$$

$$V_t = \frac{\varphi}{(2t)^{1.5}} H_0^{0.25} \left(1 - \frac{h_0}{H_0}\right)^{2.75} \left(\frac{\varphi}{g}\right)^{0.25}. \quad (36)$$

თვალსაჩინოების მიზნით, ქვემოთ მოცემულია (ნახ. 2 და ნახ. 3) $H_t = f(t)$, $q_t = f(t)$ და $V_t = f(t)$ გრაფიკები დამოკიდებულებები.



ნახ. 2. $H_t = f(t)$ და $q_t = f(t)$ დამოკიდებულებების გრაფიკები,
როცა $H_0 = 5$ მ., $\rho = 15^\circ$ და $h_0 = 0.5$ მ



ნახ. 3. $V_t = f(t)$ დამოკიდებულებების გრაფიკი,
როცა $H_0 = 5$ მ., $\rho = 15^\circ$ და $h_0 = 0.5$ მ

3. დასპანა

ხარისხობრივი ფუნქციების გამოყენებით მიღებულია დგარცოფსაცავში დაგროვილი დგარცოფული მასის სიმაღლის, დგარცოფის ხარჯისა და მისი გადაადგილების სიჩქარის საანგარიშო დამოკიდებულებები. კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ თეორიულად და ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე მიღებულ K -ს მნიშვნელობებს შორის განსხვავება არ აღემატება 10%-ს.

ლიტერატურა

1. ყრუაშვილი ი., კუხალაშვილი ე. დგარცოფული ნაკადების დინამიკის ზოგიერთი საკითხები // საუს-სამეცნიერო შრომები, “საინჟინრო ეკოლოგიის საკითხები ჰიდროტექნიკურ მელიორაციაში”. 1996, გვ. 55-63.
2. ყრუაშვილი ი., ქაცარავა თ., კუხალაშვილი ე. დგარცოფების შეშფოთებული ზონის საანგარიშო მახასიათებლები. აგრარული მეცნიერების პრობლემები // სამეცნიერო შრომათა კრებული. თბილისი. ტ. №1. 1997, გვ. 229-235.

შავ 628.2

ტყუპლის რესურსების დაცვის გადაწყვეტილების მიღების რისკის ალგათზრი მოძღვი

ზ. მეგრელიშვილი, ლ. თურმანიძე,

ზ. კალანდარიშვილი, ნ. დონდოლაძე

(ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

რეზიუმე: განხილულია გარემოსადმი მიყენებული ზარალის გაანგარიშება, დამკარგებული გამოყენებული ბუნებრივი რესურსების რაოდენობის დირებულებაზე. ნაჩვენებია, რომ ზარალის სხვაობა, წარმოდგენილი მეთოდით და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით განხხვავდებიან $1,4\ldots 250$ -ჯერ. მოყვანილია წყლის რესურსების დაცვის გადაწყვეტილების მიღების რისკის ალბათური მოდელი. მოცემულია გაანგარიშების შედეგების ცხრილები.

საკვანძო სიტყვები: გარემო; ზარალი; რისკი; ალბათური მოდელი.

1. შესავალი

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და გარემოს დაცვის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვან მიმართულებად წარმოგვიდგება ბუნებრივი რესურსების ადეკვატური დირებულების ან ეკონომიკური შეფასების განსაზღვრა. ვერც ცენტრალიზებულად დაგეგმარებულმა და ვერც საბაზრო ეკონომიკამ ვერ მოახერხა შეეფასებინა სუფთა გარემოს და ბუნებრივი რესურსების რეალური მნიშვნელობა, დაედგინა მათი ადეკვატური დირებულება. ზოგადი მიდგომაა ეკოლოგიური კეთილდღეობის დირებულების შემცირება ან მისი ნელოვანი შეფასება. ეს მომენტი კარგად აქვს შეფასებული ე. ფონ ვაიცნეკერს: „ბიუროკრატიული სოციალიზმი დაინგრა იმიტომ, რომ არ აძლევდა ფასებს საშუალებას ეთქვათ ეკონომიკური სიმართლე. საბაზრო ეკონომიკას შეუძლია დადუპოს გარემო და თავისი თავი, თუ არ მისცემს ფასებს ეკოლოგიური სიმართლის თქმის უფლებას“ [1].

2. მირითადი ნაწილი

ბოლო ასწლეულის დასასრულს სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია და შეეხო ცხოვრების ყველა სფეროს. თავის უსაფრთხოებაზე ზრუნვამ აიძულა ადამიანი შეექმნა მოღვაწეობის სპეციალური სახე, რომელიც ემსახურება შექმნილი მდგომარეობის ანალიზს, პრობლემური სიტუაციების მართვის ღონისძიებების დამუშავებას. ასეთი მიმართულებაა ცოდნის ახალი სფერო – რისკის ანალიზი და შეფასება.

რისკის ანალიზთან დაკავშირებული სისტემატური სამუშაოები საზღვარგარეთ დაიწყო გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში და ეხებოდა საწარმოო ტექნოლოგიების რისკის შეფასებას [2]. ტექნოლოგიების ტრადიციული შეფასება, რომლებიც სრულდებოდა წარმოების და ფირმების დონეზე, ორიენტირებული იყო მხოლოდ მოცემულ ტექნოლოგიაზე. სტრატეგიულ დონეზე ტექნოლოგიების შეფასება კი მოითხოვდა გლობალურ მიდგომას, რომელიც თავის მხრივ ბიოსფეროს გაჭუჭყიანების შედეგების ადამიანზე გავლენის რისკის შეფასებას აქტუალურს ხდის.

მდგრადი განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკოდინამიკის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ურთიერთდამოკიდებულების გააზრებაზე. ნებისმიერი პროექტის მიღება, ან მისი ეკოლოგიური ექსპერტიზა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ვარიანტების ტექნიკურ-ეკონომიკური შედარების საფუძველზე, რომელიც გამოავლენს არა მხოლოდ კაპიტალურ და საექსპლუატაციო ხარჯებს, არამედ იმ ზარალსაც, რომელიც მოჰყება გარემოში ნარჩენების დატოვებას – კერძოდ, გამონაბოლქვის ან ჩამდინარე წყლის სახით.

ჩამდინარე წყლების წყალსაცავში ჩაშვებისას გარემოსადმი მიყენებული ზარალის განსაზღვრა ბიოლოგიური, ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური ცვლილებების გათვალისწინებით პრაქტიკულად შეუძლებელია. გაჭუჭყიანების შედეგად მიღებული ცვლილებები შეიძლება გამომჟღავნდეს რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როდესაც მიღებული შედეგების გამოსწორება გვიანი იქნება.

ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალის სიდიდე შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვადასხვა დანახარჯების ან დანაკარგების ჯამის სახით [3].

$$U_i = \sum_{i=1}^n x_i q_i, \quad (1)$$

სადაც x_i -ის i -ური ფაქტორის ნატურალური ცვლილება;

q_i - i -ური ფაქტორის ფულადი შეფასება.

თუ x_i -ს გამოვსახავთ როგორც $x_i = V_i n_i$, და q_i -ს აღვნიშნავთ q_β -თი, ჩამდინარე წყლების ჩაშვებისას გარემოსადმი მიყენებული ზარალი გამოითვლება ფორმულით [4]:

$$U_i = V_i n_i q_\beta \quad (2)$$

სადაც V_i არის წყალსაცავში ჩასაშვები ჩამდინარე წყლის მოცულობა დროის ერთეულში i -ური გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებით, მ^3 ;

n_i - ჩამდინარე წყლის საჭირო განზავების ჯერადობა, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მისაღწევად i -ური ნივთიერების მიხედვით;

q_β - წყლის რესურსების ეკონომიკური შეფასება (ბუნებრივი წყლის ფასი), ლარი/ მ^3 .

ჩამდინარე წყლის განზავება i -ური ნივთიერების მიხედვით ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციამდე, განპირობებულია გარემოს თვითგამწმენდი თვისებით. ვინაიდან ბუნებრივი წყლები შეიძლება შეიცავდეს გამაჭუჭყიანებელ i -ურ ნივთიერებას, განზავების ჯერადობა გამოითვლება ფორმულით:

$$n_i = \frac{C_i}{C_i + C_{i\beta}}, \quad (3)$$

სადაც C_i არის i -ური ნივთიერების კონცენტრაცია წყალსაცავში ჩასაშვებ ჩამდინარე წყალში, $\text{გ}/\text{მ}^3$;

$C_{i\beta}$ - i -ური ნივთიერების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია წყალში, $\text{გ}/\text{მ}^3$;

$C_{i\beta}$ - i -ური ნივთიერების კონცენტრაცია წყალსაცავში, $\text{გ}/\text{მ}^3$.

(2) ფორმულაში ნამრავლი $V_i n_i$ წარმოადგენს ბუნებრივი წყლის რაოდენობას, რომელიც საჭიროა ჩამდინარე წყლის განსაზავებლად i -ური ნივთიერების ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციამდე მისაღწევად. ამის გათვალისწინებით, (2) ფორმულა მიიღებს სახეს:

$$U_i = W_i q_\beta \quad (4)$$

სადაც W_i არის i -ური ნივთიერების განზავებისათვის საჭირო ბუნებრივი წყლის მოცულობა, მ^3 დროის ერთეულში.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, წყლის რესურსების სარგებლობისათვის გადასახადის ოდენობა განსხვავებულია და მერყეობს საბაზო ღირებულების 10%-დან 3%-მდე [5]. თბოსადგურებისათვის და სარწყავი სისტემის საწარმოებისათვის გადასახადის ოდენობა შეადგენს ძირითადი ოდენობის 1%-ს, პიდროსადგურების საწარმოებისათვის – ძირითადი ოდენობის 0,01%-ს, ხოლო კომუნალური და სოფლის წყალსადენისათვის გადასახადი 1 კუბ. მეტრ წყალზე შეადგენს 0,01 თეთრს. ვინაიდან ბუნებრივი წყლის 1 კუბ. მეტრის საბაზო ღირებულება შეადგენს 1,0 ლარს, მაშინ თანახმად [5]-ისა, წყლის რესურსების სარგებლობისათვის მინიმალური გადასახადი შეადგენს 3,0 თეთრს, თბოსადგურებისათვის – 1,0 თეთრს, პიდროსადგურებისათვის – 0,01 თეთრს, კომუნალური და სოფლის წყალსადენისათვის – 0,01 თეთრს.

მავნე ნივთიერებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის განსაზღვრული გადასახადები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გარკვეულ შემთხვევაში არ შეესაბამება რეალურ გადასახადებს, რაც ინვესტორებს (მათ შორის, უცხოელებს) ინტერესს გაუჩენს დაბანდოს კაპიტალი ეკოლოგიურად სახიფათო პროექტებში, რაც თავის მხრივ, იაფი მუშახელის პირობებში დამატებით დიდ მოგებას დაუტოვებს მათ.

განვიხილოთ (1) – (4) დამოკიდებულებით დაანგარიშებული ზარალი, რომელსაც მიაყენებს გარემოს ერთი ტონა ნივთიერება, მოყვანილი [5] –ში (ცხრ. 1). შედეგების გამოთვლისას იგულისხმება, რომ წყალსაცავში მავნე ნივთიერება არ იმყოფება. სხვა შემთხვევებისათვის განსაზღვრული წყლის რაოდენობა და ზარალის სიდიდე გაიზრდება. ბუნებრივი წყლის ღირებულება აღებულია ყველაზე მინიმალური – 0,01 თეთრი. მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ შემოთავაზებული მეთოდიკით დადგენილი ზარალი 1,4.....250–ჯერ აღემატება იმ გადასახადს, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. ისიც უნდა ითქვას, რომ წყლის საბაზო ღირებულების გათვალისწინებით მიღებული ზარალი მრავალჯერ გაიზრდება, ვინაიდან იზრდება ერთი კუბური მეტრი წყლის ღირებულება.

ამავე დროს, ყურადღება უნდა მივაქციოთ წყლის რაოდენობას, რომელიც საჭიროა ნივთიერების განსაზავებლად ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციამდე. საქართველოს მდინარეების უმრავლესობა ვერ აიტანს ასეთ დიდ ხარჯს. ეს ნათლად ჩანს მე-2 ცხრილიდან, რომელიც აგებულია [6–8] მონაცემების მიხედვით.

ცხრილი 1

**მავნე ნივთიერების ჩაშვებისას გარემოსათვის
მიუენებული ზარალის გაანგარიშების მონაცემები**

№	მავნე ნივთიერება	$C_{i\text{ზფ}} [4]\text{-ის}$ მიხედვით მგ/ლ	მინიმალური წყლის რაოდგნობა $C_{i\text{ზფ}}\text{-მდე}$ განსაზავებლად, β^3	გადასახადი ლარი	
				შემოთავაზებული მეთოდით	[4]-ის მი- ხედვით
1	2	3	4	5	6
1	ქლორიდები	350	2857	0,29	0,2
2	ტიტანი	0,1	10^7	1000	390
3	სელენი	0,001	10^9	1000000	39000
4	ტელური	0,01	10^8	10000	3900
5	დარიშხანი	0,05	$2*10^7$	2000	790
6	რკინა	0,5	$2*10^5$	200	78
7	ალუმინი	0,1	10^7	1000	78
8	ბერილიუმი	0,0002	$5*10^9$	500000	390000
9	ზედამიზულად აქტიური ნივთიერებების დასახელება				
	მინიმალური	10	10^5	10	390
	მაქსიმალური	0,001	10^9	100000	390
10	ნავთობპროდუქტები	0,05	$2*10^7$	2000	780
	ბენზინი	0,1	10^7	1000	780
11	კეტონები (11 დასახელება)				
	მინიმალური	2,0	$5*10^5$	50	780
	მაქსიმალური	0,02	$5*10^7$	5000	780
12	ფენოლები	0,001	10^9	100000	39000

მძლავრი მდინარის (ცხრ. 2, პ.1) მაქსიმალური განსაზავებელი ხარჯის გა-
მოყოფისათვის (ცხრ. 1, პ.3) დასჭირდება 680 სთ. ამ დროის განმავლობაში მდინა-
რის წყალი 2,0 მ/წმ საშუალო სიჩქარით გაივლის 4896 კმ-ს, რაც გაცილებით აღვ-
მატება მის სიგრძეს. ეს კი ნიშნავს, რომ წყალსაცავში მავნე ნივთიერების კონ-
ცენტრაცია გაცილებით მეტი იქნება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე. ანა-
ლიგიური გამოთვლები შეიძლება გაკეთდეს ყველა მდინარისათვის.

ცნობილია, რომ დანაკარგები (მოგება) შეიძლება შეფასდეს როგორც ფუ-
ლად ერთეულში, ასევე დროში ან მორალურ ფაქტორებში. ამდენად უნდა შეგვეძ-

ლოს მათი ერთმანეთთან შედარება. ამისათვის ხელსაყრელია ისინი დავუკავშიროთ ფულად ერთეულს.

წარმოება პროდუქციის საწარმოებლად ხარჯავს x_0 ლარს. გარემოს დაცვისათვის გამწმენდი ნაგებობების აგება მოითხოვს x_1 ლარს. წარმოება დგება ცდუნების წინაშე (მორალური ფაქტორი), არ გადაიხადოს იგი და დახარჯოს x_0 ლარი, ან ააგოს გამწმენდი ნაგებობები, ე.ი. გაიღოს x_1 ლარი, რაც გამოიწვევს $(x_0 + x_1)$ ლარის ხარჯს.

ცხრილი 2

ზოგიერთი მდინარეების პიდროგეოლოგიური მონაცემები

№	მდინარე	საშუალო მრავალ-წლიური ხარჯი		დინების სიჩქარე მ/წ	სიგრძე, კმ	ხარჯი მ/წ	გაჭუჭყიანება [2]-ის მიხედვით
		სათავეში	შესართავში				
1	რიონი	10,3	409,0	0,3-4,2	337,0	$1,47 \cdot 10^6$	1
2	მტკარი*	32,6	291,0	0,2-2,0	513,0	$1,05 \cdot 10^6$	2,3
3	ენგური	45,5	192,0	0,6-5,8	213	691200	2
4	ჭოროხი*	-	159,0	0,7-2,5	26,0	572400	-
5	ალაზანი	14,4	112,0	0,8-3,5	351,0	403200	3
6	ცხენის წყალი	23,0	90,4	0,5-1,5	176,0	325440	-
7	აჭარის წყალი	8,73	51,5	0,6-1,3	90,0	185400	-
8	ხობი	7,43	50,5	0,5-2,5	150,0	181800	3
9	სუფსა	2,56	46,0	0,5-1,2	108,0	165600	-
10	ნატანები	2,12	33,5	0,4-1,5	60,0	120600	3
11	მოქვა	4,50	18,1	1,0-1,5	47,0	65160	3
12	კინტრიში	4,25	17,3	0,7-1,8	45,0	62280	3
13	გუბის წყალი	7,55	16,4	0,2-0,4	36,0	59040	1
14	წოლოქი	0,66	7,03	0,3-2,5	24,0	25308	-
15	შოკვერა	1,79	6,11	0,5-3,5	20,0	21996	1
16	აჭყვა	-	1,66	0,1-1,1	19,0	5979	-

* ხარჯთვების ტერიტორიაზე

** დაბინძურება: 1 - განსაკუთრებული დონის დაბინძურება; 2 - ძაღლის დონის დაბინძურება;
3 - დაბინძურება.

განვიხილოთ შემდეგი ვარიანტები:

- არ გაიღონ x_1 ლარის ხარჯი;

- თანმდევი სიტუაცია – თუ გარემოს გაჭუჭყიანება ეკოლოგებმა აღმოაჩინეს, მოსალოდნელია ჯარიმა x_2 ლარი (შესაძლო დანაკარგები $x_1 = x_2$; $x_1 > x_2$; $x_2 > x_1$).

2. გაიღონ x_1 ლარის ხარჯები;

- თანმდევი სიტუაცია – ω_0 – ეკოლოგები გამოჩნდებიან (ეკოლოგიური მონიტორინგი მუდმივია და მკაცრი (დროის ფაქტორი)) და ω_1 – ეკოლოგები არ გამოჩნდებიან (ეკოლოგიური მონიტორინგი იშვიათია).

შესაბამისად $p(\omega_0) = p$ ალბათობით ეკოლოგები გარემოს გაჭუჭყიანებას აღმოაჩინენ და $p(\omega_1) = 1 - p = \bar{p}$ ტოლი ალბათობით გარემოს გაჭუჭყიანებას ვერ შეამჩნევენ. ორი შესაძლო გარიანტიდან მისაღებია ერთი:

– d_0 , აიგოს გამწმენდი ნაგებობები (არსებული გამწმენდი ნაგებობები მუშაობენ გამართულად);

– d_1 , არ აიგოს გამწმენდი ნაგებობები (არსებულ გამწმენდ ნაგებობების გამართულ მუშაობას შესაბამისი ყურადღება არ ექცევა).

განვიხილოთ ხარჯები სხვადასხვა სიტუაციებისათვის:

$L(\omega_1, d_1)$ – რაც ნიშნავს ხარჯს იმ შემთხვევაში, როცა მიღებულია d_1 გადაწყვეტილება და დგება ω_1 შედეგი;

$L(\omega_0, d_0)$ – არის სიტუაცია, როდესაც აიგო გამწმენდი ნაგებობები და მოვიდნენ ეკოლოგები.

მაგრამ, როდესაც ვლაპარაკობთ რისკებზე, მხედველობაში მისაღებია არა მხოლოდ ესა თუ ის ვარიანტები და მათი ხარჯები, არამედ შესაფასებელია სხვადასხვა საშუალო, ვინაიდან ზემოთ მოყვანილი სიდიდეები შემთხვევითი სიდიდეებია. საშუალოს საზომად გამოსადეგია მათემატიკური ლოდინი $ML(\omega_i, d_i)$, რომელიც წარმოადგენს d_i გადაწყვეტილებით მიღებულ რისკის მაჩვენებელს:

$$\rho(d_0) = L(\omega_0, d_0) \cdot p + L(\omega_1, d_0) \cdot \bar{p}; \quad (5)$$

$$\rho(d_1) = L(\omega_1, d_1) \cdot p + L(\omega_0, d_1) \cdot \bar{p}. \quad (6)$$

აქედან გამომდინარე, თუ $\rho(d_0) < \rho(d_1)$, მაშინ d_1 -ის მიღება არ შეიძლება (ვინაიდან რისკი d_0 -ის მიღებისას ნაკლებია, ვიდრე d_1 -ის მიღებისას) და პირიქით.

გარემოს დაცვის კონტროლის პერიოდულობის ნორმატივების თანახმად [9], შესაბამისი კატეგორიებით შემოწმება შეიძლება ჩატარდეს მე-3 ცხრილში მოყვანილი სისტემის მიხედვით. გაანგარიშება გაკეთებულია ნავთობშემცველი ჩამდი-

ნარე წყლისათვის, ნავთობის კონცენტრაციით 2000გ/მ³-ზე, რომელიც გასაწმენდია ნავთობის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციამდე 0,05გ/მ³-ზე. გამწმენდი ნაგებობების ლირებულებაა 1740000 ლარი, ერთი კუბური მეტრი ჩამდინარე წყლის გაწმენდის ლირებულება 0,35 ლარი [10].

მიღებული მონაცემების მიხედვით, ყველა შემთხვევაში უმჯობესია წარმოებისათვის გამწმენდი ნაგებობის გამართული ექსპლუატაცია. ვინაიდან ეკოლოგების მიერ შემოწმება ხორციელდება გეგმიურად, გამწმენდი ნაგებობების არაგება ან გაუმართავი მუშაობა წარმოებას მოგებას არ მოუტანს. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს მხოლოდ 0,35 ლარს/მ³-ზე. ასეთი გამოთვლები შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერი სახის დაბინძურებაზე.

ცხრილი 3

გადაწყვეტილების მიღების რისკის გაანგარიშება ალბათური მოდელის მიხედვით

№	კატეგორია და შემოწმების პერიოდულობა	p მოწმების ალბათობა	ზარალი არსებული გეორგიოვ, ლარი/გვ	ზარალი შემოწმებით განვითარებული გეორგიოვ, ლარი/გვ	$\rho(d_0)$, ლარი/გვ	$\rho(d_1)$, ლარი/გვ ³	
						არსებული მეთოდით	შემოთა- ვაზებული მეთოდით
1	თვეში ერთხელ	1/30	1,56	4,0	0,35	1,62	3,99
2	I კატეგორია, სამ თვეში ერთხელ	1/90	1,56	4,0	0,35	1,55	3,97
3	II კატეგორია ექვს თვეში ერთხელ	1/180	1,56	4,0	0,35	1,55	3,98
4	III კატეგორია, წელიწადში ერთხელ	1/365	1,56	4,0	0,35	1,56	4,0
5	IV კატეგორია, ხუთ წელიწადში ერთხელ	1/1825	1,56	4,0	0,35	1,56	4,0

3. დასტვნა

წყალსაცავში მავნე ნივთიერების ჩაშვებისას გარემოსადმი მიყენებული ზარალის ალრიცხვის სრულყოფისათვის მიზანშეწონილია სახელმწიფო დადგენილი

იყოს ერთი კუბური მეტრი ბუნებრივი წყლის გამოყენების ღირებულება რეგიონების მიხედვით, მიუხედავად საწარმოო დანიშნულებისა და საბაზო მოთხოვნებისა. ეს არა მარტო გაზრდის სახელმწიფო შემოსავლებს, ხელს შეუწყობს ჩამდინარე წყლების გამოყენების საკითხების გადაწყვეტას და შეინარჩუნებს ბუნებას, ვინაიდან უკვე ფინანსებთან და წარმოების მოგებასთან იქნება დაკავშირებული.

ლიტერატურა

1. Бобылев С.Н., Ходжаев А.Ш. Экономика природопользования. Учебное пособие – М.: ТЕИС, 1997. -272 с.
2. Никаноров А.М., Хоружая Т.А. Экология, М.: ПРИОР, 2001. - 304 с.
3. Четверев В.И.Экономическая эффективность использования природно-ресурсного потенциала. – М.: Изд-во Моск. ун-та, 1997. - 278 с.
4. მეგრელიშვილი ზ. წყლის დარბილების პროცესის და კათონიტური დანადგარების ფუნქციონირების ტექნოლოგიური რეგლამენტის სრულყოფა სამრეწველო წყალმომარაგების სისტემები. თბილისი: "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2005 – 286 გვ.
5. საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება №265, 1999 წლის 11 ნოემბერი, ქ. თბილისი, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ“ ინსტრუქციის თაობაზე“ <https://matsne.gov.ge/index.php>?
6. Предельно допустимые концентрации вредных веществ в воздухе и воде. Идан. 2-е перер. и дополн. – Л.: Химия, 1975. - 456 с.
7. Ресурсы поверхностных вод СССР. Гидрографическое описание рек, озер и водохранилищ. Т. 9. Закавказье и Дагестан. Вып. 1. Западное Закавказье. Под ред. В.Ш.Цомая. – Л.: Гидрометеоиздат, 1974. - 578 с.
8. Государственный водный кадастр. Ежегодные данные о режиме и ресурсах поверхностных вод суши. Т.VI. Грузинская ССР. – Тбилиси. 1985. – 290 с.
9. Методическое пособие по расчету, нормированию и контролю выбросов загрязняющих веществ в атмосферный воздух.(Введено письмом Ростехнадзора от 24.12.2004 № 14-01-333).
10. Установка для глубокой очистки сточных вод от нефтепродуктов электрохимическим методом. http://www.saveplanet.su/tehno_474.html.

შაგ 628.2

მიზანმიზა წყლების კარბი რპინისა და მარგანეცის მოცილების ექსპრიმენტული კვლევის შედეგები

გ. სოსელია, ნ. სოსელია, თ. ქაპანაძე, ს. ჯაფარიძე
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: განხილულია სოფ. ანაკლია-განმუხურის სახმელ-სამუშაოების მიზნებისათვის გამოსაყენებელი მიწისქვეშა წყლებიდან რკინის Fe^{2+} და მანგანუმის Mn^{2+} ერთდროული მოცილების ან მათი რაოდენობის შემცირების მეთოდი.

2012-13 წლებში ჩატარდა სამრეწველო ექსპერიმენტი, როცა აიგო და დღემდე მუშაობს ნაგებობათა კომპლექსი, რომელიც შედგება ქიმიური ლაბორატორიისგან, საიდანაც სპეციალური დოზატორებით მიწისქვეშა წყლების დამწეული მილს ეწოდება კოაგულანტი $Al_2(SO_4)_3 - 160 \text{ მგ/ლიტრამდე} - Cl - 1.5 \text{ მგ/ლიტრიდან} 5 \text{ მგ/ლ.}$ შემდეგ წყალი მიეწოდება აერატორს, აქედან სალექარ ავზებს. საშუალებო ავზში PH-ის 9-10.5 რაოდენობით გაზრდის შედეგად ხდება მანგანუმის ტუბე არეში გადაყვანა და წყალში გახსნილი უანგბადი უანგავს Mn^{2+} -ის ნაერთს, რომელიც იღებება ფილტრებში და პიროლუზიტის დახმარებით რკინასთან ერთად 100%-ით სცილდება წყალს. აღნიშნული მეთოდი გაცილებით იაფია იმ ხერხებთან შედარებით, სადაც კალიუმის პერმანგანატის იუგნებენ.

საკვანძო სიტყვები: აერირება; რეაგენტი; ტუბე არე; პიროლუზიტი; კირის რძე; დაყოვნების ავზები; ჩქარი დია ფილტრები; აქტიური ქლორი; მარგანუმის “შპატი”.

1. შესაბამის

საქართველოს ტერიტორიაზე 26060 მდინარეა, 850 ბუნებრივი ტბა და წყალსაცავი. მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგი 301 მ³/წ-ში. მათი გამოყენების არე ყოველწლიურად იზრდება, რადგან მიწისქვეშა წყლების

მოხმარება დამუშავების გარეშე უმეტეს შემთხვევაში უფრო მისაღებია, ვიდრე ზედაპირული წყლებისა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მიწისქვეშა წყალშემცავ ფენებში მაღალ მინერალიზებული მიწისქვეშა ნაკადებია, რაც ხელს უშლის მათ გამოყენებას როგორც სასმელ-სამეურნეო, ასევე საწარმოო წყალმომარაგების მიზნებისთვის, რადგან მათში საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება რკინის, მარგანეცის, ფტორის და გოგირდწყალბადის ნაერთები. აქედან გამომდინარე, როდესაც მიწისქვეშა წყლები არ აკმაყოფილებს სასმელ-სამეურნეო და საწარმოო წყალმომარაგების მოთხოვნებს, საჭიროა მათი დამუშავება-გაწმენდა და არასასურველი ელემენტების ნორმატიულ სიდიდემდე დაყვანა.

2. მიზითადი ნაწილი

მანგანუმი-მარგანეცი მიეკუთვნება ბუნებაში საკმაოდ გავრცელებულ ელემენტს, რომელიც დედამიწის ქერქში არსებული ატომების საერთო რიცხვის 0,03%-ს შეადგენს.


მარგანეცი განთავსებულია მთის სხვადასხვა ქანებში, ამასთან ერთად იგი გვხვდება ჟანგბადისა და ნახშირმჟავა შენაერთებთან ნაცრისფერი და შავი “პიროლუზიტის” სახით $MnO_2 \cdot x H_2O$ და თეთრი მარგანეცის “შპატის” $Mn CO_3$ სახით. მარგანეცი იმდენად გაფანტულია მთიან ქანებში, რომ იგი ატმოსფერული ნალექებით ჩამოირეცხება და უმეტესწილად ხვდება მიწისქვეშა წყლებში, წყალშემცავ ფენებში, მდინარეებში, საიდანაც ათასობით ტონა ზღვებსა და ოკეანეებში გადის, მიუხედავად ამისა, მარგანეცის შემცველობა ზღვის წყლებში ძალიან მცირეა (10^{-7} – 10^{-6} %). მეცნიერებმა დააღვინეს, რომ მარგანეცის დიდი რაოდენობა, რომელიც აღმოჩენილია ოკეანის სიღრმეებში (0.3%), განპირობებულია მუდმივი და თანდათანობითი დაჟანგების გამო(გახსნილი ჟანგბადის არსებობით წყალში). პრაქტიკულად უხსნადი პიდრატი მანგანუმის ორჰანგის $MnO_2 \cdot x H_2O$, რომელიც ოკეანის ფსკერზე ილექტა, ბევრგან აღმოუჩენიათ ქვის მსგავსი წარმონაქმნების (კონკრეციების) სახით.

ბუნებრივ წყლებში მარგანეცი გვევლინება სხვადასხვა ნაერთის სახით. მიწისქვეშა წყლებში იგი წარმოდგენილია ორგალენტიანი მარგანეცის ბიკარბონატული ფორმით $Mn(HCO_3)_2$ და კარგად იხსნება წყალში. ზედაპირულ

წყლებში, თუ მათში საწარმოო ჩამდინარე წყლებია ჩაშვებული, იგი შეიძლება შეგვხვდეს მარგანეცის სულფატის $MnSO_4$ სახით.

მიწისქვეშა წყლებში Mn^{2+} -ის კონცენტრაცია ძირითადად 0.5-დან 2-3 მგ/ლ. ფარგლებშია. შეიძლება ითქვას, რომ ზედაპირულ წყლებში მარგანეცის რაოდენობა უმნიშვნელოა, თუმცა ზოგიერთ წყალსატევში (ტბორებში) იგი იშვიათ შემთხვევაში აღწევს 3-4 მგ/ლ-ს,

ჩვეულებრივ პირობებში მდგრადი თვისებებით ხასიათდება უანგბადთან ნაერთი MnO_2 . მისი მიერთებით ტუტებთან დამჟანგელებთან ერთად (მაგალითად O_2 უანგბადთან) წარმოქმნება მარგანეცის მარილები (მჟავები), რომელშიც მარგანეცი ექსგალენტიანია



კალიუმის პერმანგანატი $KMnO_4$ პრაქტიკულად გასათვალისწინებელი ნაერთია. იგი შეფერილია იისფერ-წითელი ფერით. მარგანეცის იონი Mn^{2+} კარგად იხსნება წყალში და უმეტესად ვარდისფერი შეფერილობისაა.

მიწისქვეშა წყლები (ლრმა და საშუალო ჭაბურდილები), რომლებიც სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის გამოიყენება, უნდა პასუხობდეს სტანდარტულ მოთხოვნებს სასმელ წყალში მარგანეცის შემცველობის ოდენობის შესახებ, კერძოდ, იგი არ უნდა აღემატებოდეს 0.1 მგ/ლ-ს. თუ წყალმომარაგების წყაროში გვაქვს მარგანეცის ნალექი ოთხვალენტიანი მჟავას პიდრანტის $Mn(OH)_4^-$ სახით, მაშინ წყალი იღებს მუქ შავ შეფერილობას და მზა პროდუქციაზე (მაგ. ქსოვილზე) ტოვებს ლაქებს. ამავე ნალექს შეუძლია მინადულის სახით დარჩეს მილებზე, ზოგიერთ შემთხვევაში რკინისა და მარგანეცის ნაერთის სახით, რაც იწვევს მილდენების კვეთების შემცირებას, აფერხებს წყლის მიწოდებას, ზრდის წნევის დანაკარგებს და მკვეთრად ცვლის სასმელი წყლის ორგანოლეპტიკურ თვისებებს.

ცალკეული საწარმოები საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ წყლის ხარისხს, სადაც სავარაუდოდ მარგანეცის შემცველობა დასაშვებზე მეტია, რადგან ისეთ საწარმოებში, რომელთა პროდუქცია ძირითადად ქადალდია, Mn^{2+} -ის შემცველობა ნორმის დასაშვებ ფარგლებშიც კი არ უნდა იყოს. ასეთივე მოთხოვნებია წაყენებული ანაკლიის აკვაპარკის წყალმომარაგებისადმი.





სურ. 1. ფოლადის წყალდენში რკინისა და მარგანეცის შემცველი
წყლის მიერ მიღლის დიამეტრის $d_1=300$ მმ შემცირება 35-45%-ით,
ხუთი წლის ექსპლუატაციის შემდეგ

აღნიშვნები: 1. ფოლადის მიღლი;
2. რკინის დანალექი $2Fe(OH)_3$;
3. მანგანუმის მჯავას ნალექი $Mn(OH)_4$

გარკვეული ინტერესი გამოიწვია მიწისქვეშ არსებულ წყაროებში ანაკლიის №1 და №2 ჭაბურღლილმა, საიდანაც მოსახლეობას სასმელი წყალი მიეწოდებოდა. გამოსაკვლევი წყლის დასამუშავებლად მოვიძიეთ საზღვარგარეთის ტექნოლოგიები, რომლებიც დადებით შედეგს მოგვცემდა ორი ელემენტის რკინის Fe^{2+} და მანგანუმის Mn^{2+} ერთდროულ მოცილებაში. მოძიებულ იქნა ლიტერატურული წყაროების საკმაოდ დიდი რაოდენობა ცალკე რკინის და ცალკე მანგანუმის მოცილებაზე, მაგრამ ამ ელემენტების ერთდროულ მოცილებაზე საკმაოდ მწირი მასალა აღმოჩნდა. Fe^{2+} და Mn^{2+} თვისებებით თითქოს ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ სხვაობა მაინც დიდია. თუ Fe^{2+} ადგილად შეიძლება მოვაცილოთ – დავიყვანოთ ნორმატიულ მისაღებ მაჩვენებლებამდე აერაციის საშუალებით, „რაშიგის” რგოლების გამოყენებით, CO_2 -ის მოცილებით და შემდგომში დია ჩქარ ფილტრებზე გაფილტვრით, მარგანეცის მოცილება მიწისქვეშა წყლებიდან უფრო საინტერესო ტექნოლოგიური პროცესებია, მის დამუანგელებთან და სხვა რეაგენტებთან დაკავშირებით.

მარგანეცის თვისებებს რაც შეეხება, იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სქემის მიხედვით:



$Mn(OH)_2$ - ფუძე, პრაქტიკულად უხსნადია წყალში, მჟავებთან ურთიერთობისას ადვილად გვაძლევს ორგალენტიანი მარგანეცის შესაფერის მარილებს. მათი უმეტესობა ვარდისფერი შეფერილობისაა Mn^{2+} და იგი კარგად იხსნება წყალში. პირდომუავა სამვალენტიანი მარგანეცი $Mn(OH)_3$ თითქმის არ იხსნება წყალში და ძალიან სუსტი ფუძე აქვს, არამდგრადია და პრაქტიკულად არავითარი გამოყენება არა აქვს. ექვსვალენტიანი MnO_3^- ის ყვალი წარმოებული და შვიდვალენტიანი მარგანეცი Mn_2O_7 განსხვავდება მაღალი მჟავას თვისებებით. სტექიომეტრიული თანაფარდობით 1 კგ კალიუმის პერმანგანატის შეუძლია დაუანგოს 0.53 მგ. Mn^{2+} და 1.06 მგ. Fe^{2+}

ორგალენტიანი მარგანეცის დაუანგვის სიჩქარე წყალში არსებული ჟანგბადით საკმაოდ მაღალი ხარისხითაა დამოკიდებული დასამუშავებელი წყლის PH-თან. როცა $PH < 8$ Mn^{2+} , ჟანგვის პროცესი პრაქტიკულად არ მიმდინარეობს. Mn^2 , Mn^{3+} და Mn^{4+} ჟანგვითი პროცესები წყალში გახსნილი ჟანგბადით საკმაოდ სწრაფად მიდის მხოლოდ მაშინ, როცა $PH > 9.5$.

ჩვენი ყურადღება მიიქცია PH-ის გაზრდით Mn^2 , Mn^{3+} და Mn^{4+} ორგალენტიანი მარგანეცის ეფექტურმა დაუანგვამ. PH-ის გაზრდა შეიძლება ტუტიანობის მომატებით. რკინის მოცილება შესაძლებელია აერაციით, დასამუშავებელი წყლის სალექრებში დაყოვნებით, შემდგომში ამ ხსნარის ფილტრებში გატარებით. ფილტრებში გამოყენებული გვაქვს “პიროლუზიტის”, დაფხვნილი 3-5 მმ-იანი ფრაქციის სახით, 10 სმ—ის სიმაღლის შრე; კირის რძე და კირის დაფხვნილი ფრაქცია.

ანაკლია-განმუხურის მიწისქვეშა წყლების დამუშავების მიზნით ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტები, როგორც ლაბორატორიული წესით მცირე 0.5-1 ლიტრის მოცულობის ცილინდრებზე, ასევე სამრეწველო დანაღვარებზე, რომლებიც შედგებოდა ძირითადი ლაბორატორიით, სადაც მზადდებოდა ქლოროვანი კირის ხსნარი სხვადასხვა პროცენტული შემადგენლობით და კოაგულანტის $Al_2(SO_4)_3$ -

სხვარი 80 მგ/ლიტრიდან 160 მგ/ლიტრამდე. №1 და №2 ჭაბურღლილებიდან წყალი ფოლადის მილით მიეწოდებოდა აერატორებს, რომელთა სიმაღლე შეადგენდა 3 მეტრს, დიამეტრი-500 მმ-ს. აერატორები აღჭურვილია გამფრქვევი ნაცმებით, რომლებიც “რაშიგის” რგოლებზე აფრქვევს მიწოდებულ წყალს და ახდენს აერირებას, რაც განაპირობებს მიწისქვეშა წყლებიდან რკინის Fe^{2+} მოცილებას. აერაციის სრულყოფისათვის ჰაერის მისაწოდებლად მოწყობილია 2000 მ³-იანი რადიალური ვენტილატორები, ორივე მილზე. ლაბორატორიიდან ერთდროულად ვაწვდიდით კოაგულიანტს და ქლორს სხარს 1.3 მგ/ლიტრიდან 3.5÷4 მგ/ლიტრამდე. საექსპერიმენტო კომპლექსში ჩართული №1 ავზი ასრულებდა დამყოვნებლის როლს, საიდანაც დაყოვნებული წყალი გადაღიოდა შუალედურ ავზში №2, მათ შორის სინჯის აღება ხდებოდა მილზე განთავსებული ონკანიდან, ყოველი ერთი საათის შემდეგ. შუალედური ავზიდან წყალი გადადის დია ჩქარ ფილტრებში, დიდი წინადობის დრენაჟით ფოლადის პერფორირებული მილებით. ფილტრაციის სიჩქარეა 4.5-5 მ/საათი. სადრენაჟო სისტემის ზევით გამფილტრავი ფენაა სხვადასხვა გრანულომეტრიული შემადგენლობით: კვარცის ქვიშით 0.8-1.2 მმ, შრის სიმაღლე $h=500$ მმ; “პიროლუზიტის” შრით $h=100$ მმ, $d=3-5$ მმ, შემდეგ “პიროლუზიტის” ქვეშ კირის ფხვნილია 5-10 მმ, შრის სიმაღლე 150 მმ და ქვიშა ხრეშის 100 მმ-იანი ფენა და ბოლოს დრენაჟზე ღორღის მძლავრი ფენა 25-30 მმ-ის შრის სიმაღლით 500 მმ. ფილტრებიდან წყალი გადადის სუფთა წყლის რეზერვუარში №3, საიდანაც ტუმბოების საშუალებით წყალი მიეწოდება კოშკს მოცულობით $W=240\text{m}^3$. სატუმბ დანადგარებზე წყალი ლაბორატორიულად მოწმდება და ხდება მისი შედარება საწყის ხარისხობრივ მაჩვენებლებთან. როდესაც გადის საფილტრაციო დრო 10-10.5 საათი, ფილტრები (გამფილტრავი ფენა) ექვემდებარება გარეცხვას. გასარეცხი წყალი ეწოდება კოშკიდან. დალექილი რკინისა და მარგანეცის ლამი ამოდის და ხდება მისი გადაღვრა გზისპირა კიუვეტში. 10 წუთის გარეცხვის შემდეგ, ფილტრში წყლის მიწოდება განახლდება და იწყება ფილტრაცია. მანგანუმის მთლიანად მოცილების ყველაზე კარგი ეფექტი მიღებულია $\text{PH}=9 \div 10.5$, რისი შედეგიცაა ეკოლოგიურად ჯანსაღი წყალი. შედარებისთვის ვისარგებლებთ სამეცნიერო ფირმა “გამა”-ს მიერ 19.03.2012 წელს ჩატარებული ანალიზების შედეგებით:

განსასაზღვრელი კომპონენტი	ანაკლია- ჭაბურღილი №1	ანაკლია- ჭაბურღილი №2
რკინა მგ/ლ	0.04	0.36
მანგანუმი მგ/ლ	1.16	1.16


**მიღებული ტექნოლოგით 2012 წლის 25 ივნისს
ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები
(ანაკლიის აკვაპარკი)**

განსასაზღვრელი კომპონენტი	ანაკლია- ჭაბურღილი №1	ანაკლია- ჭაბურღილი №2	აკვაპარკი
რკინა მგ/ლ	0.00	0.00	0.00
მანგანუმი მგ/ლ	0.00	0.00	0.00

ჩატარებული ექსპერიმენტი საფუძვლად დაედო გამართვით სამუშაოებს, სა-
დაც დადგენილ იქნა პიროლუზიტის და $\text{Al}_2(\text{SO}_4)_3$, კირის და აერირების გამოყენე-
ბის უპირატესობა და ეფექტურობა, იგივე პირობებში წყლის კალიუმის პერმანგა-
ნატით დამუშავებასთან შედარებით.

სამრეწველო ექსპერიმენტის ტექნოლოგიური ნაგებობების თანამიმდევრობა
მოცემულია ექსპერიმენტის მუშა სქემაზე, რომელმაც რკინისა და მარგანეცის
ერთდროული მაღალეფების მოცილების შედეგად სტიმული მოგვცა აღნიშნული
საკითხის შემდგომში საფუძვლიანად დამუშავებისათვის.

როგორც ზემოთ მოცემული ცხრილებიდან ჩანს, მიწისქვეშა წყლებიდან რკი-
ნისა და მანგანუმის ერთდროული მოცილება შესაძლებელია 100%-ით, თუ მომხმა-
რებელს ექნება არა კალიუმის პერმანგანატის, რაც გაცილებით ძვირია, არამედ Cl ,
 $\text{Al}_2(\text{SO}_4)_3$ ალუმინის სულფატის, პიროლუზიტის გამოყენების მოთხოვნა.



3. დასპანა

- მიწისქვეშა წყლებში არსებული მანგანუმისა და რკინის ერთდროული მოცილების მიზნით დამუშავდა მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც სამრეწველო ექსპერიმენტების ჩატარების დროს გამოყენებულ იქნა ხსნარები, რომლებიც აქამდე არ იყო გამოყენებული;
- მიწისქვეშა წყლების დამუშავება ხდება აერირებით კოაგულანტის $\text{Al}_2(\text{SO}_4)_3$ ხსნარით ქლორის ხსნართან ერთად, შემდგომში დია ჩქარ ფილტრებში გატარებით;
- წყლის PH გაზრდით $9 \div 10.5$ -მდე ერთეულამდე გუცვლით ვალენტობას მანგანუმს და რკინას, რაც საკონტაქტო რეზერვუარებში ლექავს რკინის ჟანგსა და მანგანუმს;
- ჩქარი დია ფილტრები ასრულებს მანგანუმისა და რკინის მოცილების ტექნოლოგიურ ციკლს, გამფილტრავ ფენაში “პიროლუზიტის” და კირის ფხვნილით. გალიუმის პერმანგანატის გამოყენებასთან შედარებით მაგნიუმის მოცილება წყლიდან პიროლუზიტით ფილტრის ჩატვირთვის დროს ზრდის ეკონომიკურ ეფექტს.

ლიტერატურა

1. Золотова Е.Ф., Асс Г.Ю. Очистка воды от железа, фтора, марганца и сероводорода. М.: Стройиздат, 1990 г.
2. Клячко В.А., Апельцин И.Э. Очистка природных вод. М.:Стройиздат, 1999 г.
3. Der Rohrsanierer – Informationen über sanierungsbedürftige erdverlegte Rohrsysteme München, 2005.
4. JAWWA, 1969, №4, p 57 (Реклама фирмы “Permutit”).

УДК 591.4

ИСПОЛЬЗОВАНИЕ МОЛИБДЕНО-ШЕЕЛИТОВЫХ ОТХОДОВ В СТРОИТЕЛЬНЫХ МАТЕРИАЛАХ

И.Д. Алборов, В.Б. Заалишвили, С.А. Бекузарова, Г.П. Хубаева

(Грузинский технический университет)

Резюме: Рассмотрено применение молибдено-шеелитовых отходов ОАО «Победит» в строительных материалах, что целесообразно не только с точки зрения охраны окружающей среды, но и экономически выгодно для предприятия.

Ключевые слова: минеральное сырье; молибдено-шеелитовые отходы; пиротехнология; тяжелые металлы; органический носитель.

1. ВВЕДЕНИЕ

Еще в начале 30-годов академик А.Е. Ферсман выдвинул идею о необходимости комплексного использования минерального сырья. «Комплексная идея есть идея экономическая, создающая максимальные ценности с наименьшей затратой средств и энергии, но это идея не только сегодняшнего дня, это идея охраны наших полезных богатств от хищнического расточения, идея использования сырья до конца, идея возможного сохранения наших природных запасов на будущее. Эта идея дает максимально эффективное использование производительных сил, открывая пути для приложения самых высоких технических методов».

2. ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

В условиях, когда масштабы антропогенного воздействия на окружающую среду достигли таких размеров, что под угрозу поставлена жизнь на планете, охрана окружающей среды и рациональное природопользование выходят на передний план и являются важнейшими национальными и межгосударственными задачами, успешное решение которых неразрывно

связано с обеспечением высокого уровня профессиональной подготовки специалистов в данной области.

В регионе примерно 185 лет функционирует горно-металлургический комплекс с пиротехнологией получения полиметаллов, что отрицательно влияет на состояние биосфера региона и продолжает влиять на демографические показатели населения г. Владикавказа и его окрестностей. Мониторинговыми исследованиями установлены главные факторы загрязнения геосфер, включающие выделение загрязняющих веществ из открытых свалок металлургических отходов и отходов обогатительного производства, а также выбросы металлургических производств в атмосферу города. Таким образом, дальнейшая деградация окружающей среды снижает жизненный потенциал населения, может привести к устойчивым отрицательным демографическим показателям и патологическим отклонениям проживающего в этих условиях населения. Поэтому разработка технологических решений по использованию вторичных ресурсов молибдено-шеелитового производства, научное обоснование принципов вовлечения занимаемых ими территорий в хозяйственное использование и создание механизма регулирования экологией городской агломерации г. Владикавказа являются актуальной задачей настоящего времени, а именно, использование трансформированных и фактических молибдено-шеелитовых шлаков в производстве бетона на Буронском бетонном заводе, расположенном в поселке Бурон на правом берегу реки Ардон.

Экспериментально установлено, что отходы молибдено-шеелитового производства, складируемые на открытом поле в индустриально-селищебной части городской среды, интенсивно загрязняют атмосферный воздух, способствуя повышению содержания сопутствующих химических элементов Mo, Wo, Fe, SiO₂, Си, Na в количествах, превышающих допустимые уровни в 2,6–3,5 раза в пределах 5-километровой зоны.

Доказана технологическая возможность использования молибдено-шеелитовых отходов. Разработан испытательный состав для внесения отходов молибдено-шеелита в качестве мелкого заменителя в производство бетона, на основании чего выведена формула изобретения «Патент № 2521293»: способ приготовления бетонной смеси, включающий смешивание портландцемента с отходами промышленности, отличающийся тем, что в качестве дополнительного сырья используют молибдено-шеелитовые отходы и органический наполнитель – измельченные кукурузные кочерыжки в следующем соотношении компонентов, мас.%:

портландцемент	25-30
щебенка	12-15

песок	15-18
молибдено-шеелитовые отходы	9-18
кукурузные кочерыжки	7-8
вода	остальное

Молибдено-шеелитовые отходы отобраны из отвалов, расположенных в северо-восточной части г. Владикавказа. В соответствии с заключением специализированной лаборатории при Ростовском государственном университете, состав сырья удовлетворяет требованиям экологической безопасности (от 25.02.2000г. № 301/285).

Молибдено-шеелитовые отходы после очистки от растворов тяжелых металлов содержат: Мо общий – 2.5-3.0%, Мо выщелаченный – 0.7-1.0%, Cu – 30.5%, Fe – 12.4%, S – 15%. Кукурузные кочерыжки – отходы сельскохозяйственного производства - обычно используются в промышленности для производства фурфурола и активированного угля. Химический состав стержня (отсутствие смол, воска, тяжелых металлов (нейтральное рН)) обеспечивает дополнение в бетон – идеального органического носителя, в состав которого входят: лигнин – 8%, целлюлоза – 42% и другие, безопасные для окружающей среды, вещества. Кроме того, кукурузные кочерыжки обладают высокой сорбционной способностью поглощать вредные для жизнедеятельности вещества (радионуклиды, тяжелые металлы и др.). При подготовке бетонной смеси дозируют сырьевые компоненты. Песок, щебенку и портландцемент смешивают, добавляя молибдено-шеелитовые отходы, измельченные кочерыжки и воду. Полученную бетонную смесь укладывают в металлические формы для затвердевания с последующей транспортировкой готовой продукции.

3. ЗАКЛЮЧЕНИЕ

Изобретение относится к способу производства строительных материалов, в частности, к технологии приготовления бетонных смесей, и может найти применение при выполнении монолитных бетонных работ для изготовления стеновых блоков, которые могут быть использованы при возведении складских помещений, гаражей и ограждений. Технический результат заключается в повышении прочности бетона и получении экологически безопасной продукции.

ЛИТЕРАТУРА

1. Фергюссон Г.А., Филипс М.С. Деятельность и различные вопросы, связанные с обеспечением качества воздуха // Проблемы мониторинга и охраны окружающей среды. Л., 1989, с. 22.
2. Алборов И.Д. Технология управления экологической безопасностью окружающей природной среды на горных предприятиях Северного Кавказа. Владикавказ, 1999 г., с. 7-15.
3. Алборов И.Д. Государственный доклад Министерства экологии РСО- А // Вестник МАНЭБ, №9, 1999.
4. Попов Л.Н.Лабораторный практикум по предмету «Строительные материалы и детали». Москва: Стройиздат, 1970 г.
5. Тимонин А.С. Инженерно-экологический справочник. Калуга: изд-во Н. Бочкаревой, 2003 г.
6. ПНООЛ ООО «Стройкомитет».

პროექტის მიზანი

შაბ 591.4

მოზარდი პირუტყვის სახორცელ გამოზრდის ფესოლობია და ხორცის ხარისხის გაუმჯობესების ბზები

მ. ცინცაძე, ნ. ორჯანელი, ნ. ნატოშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: მექანიკობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხორცის და რძის წარმოებას, რომლისგანაც ამზადებენ ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა ყველი, რძემუავა პროდუქტები, კარაჟი. დეტალურად არის განხილული ძროხის მოზარდებულის გამოზრდის თავისებურებანი და მისაღები პროდუქციის მაღალხარისხოვნება, რაც ესოდებ აუცილებელია მომხმარებლისათვის ჯანხაღსაკვებად. მოცემულია რიგი ფაქტორები და წინადაღებები, რაც შემდგომში უზრუნველყოფს მაღალხარისხიანი პროდუქციის მიღებას.

საკვანძო სიტყვები: ძროხა; მოზარდი; ცილა; ცხიმი; ჯეოლი; სილობ-კონცენტრატი; კენეტ-კონცენტრატი; ჯიშების დახახელება.

1. შესავალი

მსოფლიოში სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მოსახლეობის მატება მოითხოვს მათ დაქმაყოფილებას სასურსათო და სხვა დანიშნულებით გამოსაყენებელი პროდუქტებით, რომელთაგან გადამწყვეტია მექანიკება. ძროხის ხორცი და რძე ცხოველური ცილებით არის მდიდარი, რომელთა ყოველდღიური მიღება ადამიანისათვის, განსაკუთრებით კი მოზარდისათვის, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებითაა აუცილებელი. ასე მაგალითად, ფიზიოლოგიური ნორმით ყველა ზრდასრულ ადამიანს წელიწადში, სამედიცინო გაანგარიშებით, ესაჭიროება სხვადასხვა სახის ხორცი 80 კგ-მდე, 300კგ-მდე რძე, ყველი, კარაჟი და რძემუავა პროდუქტები (ერთად აღებული) და 200 ცალი კვერცხი.

2. ძირითადი ნაშილი

ძროხის სახორცელ გამოზრდის ძირითადი მოზანია გამოვიყენოთ კუნთოვანი, ცხიმოვანი, ძვლოვან ქსოვილთა ზრდისა და ფორმირების ასაკობრივი კანონზომიერებანი და ამის საფუძველზე მივიღოთ დიდი რაოდენობით მაღალხარისხოვანი ხორცი საკვების ეკონომიკური დანახარჯებით პროდუქციის ერთეულზე.

მოზარდის კუნთოვანი ქსოვილი ინტენსიურად იზრდება დაბადებიდან პირველი 6-8 თვის განმავლობაში. ამ პერიოდში ნივთიერებათა ცვლაში ჭარბობს ცილის სინთეზის პროცესი, რაც განსაზღვრავს საკვების აზოვის მაქსიმალურ რაოდენობასა და გამოყენებას. ცოცხალი მასისა და ასაკის ზრდასთან ერთად, საკვების აზოვის დაგროვება და გამოყენება მცირდება. ძროხის მეხორცული პროდუქტიულობის ფორმირების ძირითად ბიოლოგიურ კანონზომიერებას წარმოადგენს ცოცხალი მასის ნამატები ცხიმის რაოდენობის გაზრდა, რაც ცხოველის ასაკის ზრდასთან ერთად მატულობს; ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

**მოზარდის მოზვრის 1 კგ მასის ნამატის
ქიმიური შედგენილობა და ენერგიის შემცველობა**

სხეულის ასაკი კგ	წყალი გ/კგ	ცილა გ/კგ	ცხიმი გ/კგ	ნაცარი გ/კგ	ენერგია მგ/კ	ცილის ენერგიის შეფარდება საერთო ენერგიასთან
50	719	169	70	42	6,8	59
100	715	167	78	40	7,1	56
200	691	165	106	38	8,1	48
300	612	163	189	36	11,4	34
400	478	161	328	33	16,9	23
500	279	159	522	30	24,6	15

ცხოველის ზრდის პროცესში ცილის შემცველობა ცოცხალი მასის ნამატის შემადგენლობაში უმნიშვნელოდ მცირდება იმ დროს, როდესაც ცხიმის რაოდენობა თითქმის 7-ჯერ იზრდება. ამასთან, ენერგიის შემცველობა იზრდება 6,8-დან 24,6 მჯ/კგ-მდე.

ცხოველის ქსოვილების დიფერენცირებული ზრდა შესაძლებლობას იძლევა, კვების დონისა და ხარისხის რეგულაციით ვიმოქმედოთ ცხოველის სხეულის

შედგენილობაზე. ულუფის შედგენილობის ცვლილებით შეიძლება ცხოველის სხეულის შედგენილობის განსაზღვრული დონით შეცვლა.

პირუტყვის გამოზრდის დროს საკვების ანაზღაურება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ცოცხალი მასის ნამატის ქიმიურ შედგენილობაზე. რაც მეტი ცხიმია და ნაკლები პროტეინი ნამატში, მით მეტი საკვები ენერგია იხარჯება მის წარმოსაქმნელად.

გამოსაზრდელი მოზარდის კვების ნორმებმა და ტექნოლოგიამ უნდა უზრუნველყოს მაღალხარისხოვანი საქონლის ხორცის მიღება, რომელიც დააკმაყოფილებს მასზე მომხმარებელთა თანამედროვე მოთხოვნილებებს; განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ზომიერად მჭლე ხორცზე, რომელშიც ცილისა და ცხიმის ოპტიმალური შეფარდებაა (2,0-1,0:1, საშუალოდ კი 1,5:1). მეხორცულ პროდუქტიულობასა და ხორცის ხარისხის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს ულუფაში არსებული ენერგიის რაოდენობა.

ცხოველის მეხორცული თვისებები და ხორცის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ულუფის ბიოლოგიურ სრულფასოვნებაზე, განსაკუთრებით ვიტამინების შემცველობაზე მასში. მეხორცული მიმართულების მოზარდის გამოზრდის დროს სილოს-კონცენტრატი D და A ვიტამინების გამოყენება აუმჯობესებს ხორცის საგემოვნებო და კულინარულ-ტექნოლოგიურ მაჩვენებლებს, ზრდის ტანხორცის მასას და საკლავ გამოსავალს. D და A ვიტამინების დადებითი გავლენა განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება იმ მოზარდეულის დახურულ შენობებში შენახვისა, რომლებსაც აქვთ სასეირნო-საკვები მოედნები.

პირუტყვის ინტენსიური გამოზრდის და სუქების დროს, კვების საკითხებიდან პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ულუფის სრულფასოვნებას, საყვათო და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მათ დაბალანსებას; კერძოდ, გამოყენებული უნდა იქნეს შემდგარ სახის ულუფები, რომელშიც შევა: სილოს-კონცენტრატი, ჟენერ-კონცენტრატი და განსაკუთრებით სრულფასოვანი საკვებნარევით.

ცხოველის გამოზრდის ორგანიზაცია და დაკვლის გადები უნდა დაიგეგმოს მოცემული ჯიშის ბიოლოგიის გათვალისწინებით.

მალმწიფადი მეხორცული ჯიშების ცხოველთა ინტენსიური გამოზრდის და გასუქების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება მათი რეალიზაცია 16 თვის ასაკამდე. სპეციალიზებული მეხორცული ჯიშებია: ჰერცორდი, აბერდინ-აგუსტი, შორთბორნი, სანტა-ჰერტრუდა; ამიტომ, დაკვლის ოპტიმალურ ვადად შეიძლება ჩაითვალოს 16 თვის ასაკი და 450-500 კგ ცოცხალი მასა. ამ ასაკში მალმწიფადი ჯიშის ცხოვე-

ლები იძლევიან მასიურ ნაკლავს, „მარმარილოსებრ“ ხორცი. დაკვლის ვადების გადაწევა იწვევს საკვების ანაზღაურების შემცირებას, ნამატის თვითდირებულების გაზრდას, ხორცში ცხიმის შემცველობის ზრდასა და მჭლე ხორცის გამოსავლის შემცირებას.

ისეთი სპეციალური მეხორცული ჯიშები, როგორიცაა: შაროლე, კინსკი, ლიმუზინი და მათი ნაჯვარები, ხასიათდება მაღალი მეხორცული თვისებებით და უფრო გვიან მწიფადი არიან; ამიტომ, ამ ჯიშის დაკვლის ოპტიმალურ ვადად ითვლება არაუმეტეს 18 თვე და 550-600 კგ ცოცხალი მასა.

მერძეული და მერძეულ-მეხორცული ცხოველის დაკვლის ოპტიმალურ ვადად, ინტენსიური გამოზრდიდან და სუქებისას ითვლება 18 თვე და 450-500 კგ ცოცხალი მასა.

3. დასპანა

მაღალხარისხიანი ხორცის მისაღებად, სადაც გათვალისწინებული იქნება მომხმარებლის მოთხოვნილება მჭლე ხორცზე და ხარისხობრივ მაჩვენებელზე, აუცილებელია სპეციალისტების მიერ დაცული იქნეს მინიმუმ შემდეგი ფაქტორები:

1. მოვლა-შენახვის და გამრავლების დროს მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ცხოველისთვის იმ ოპტიმალური პირობების დაცვა, რაც სტანდარტით არის გათვალისწინებული;
2. მოხდეს ცხოველისთვის ორგანიზებული და ნორმით გათვალისწინებული დაბალანსებული ულუფების მიწოდება, სადაც დაცული იქნება სეზონურობა და ზაფხულის პერიოდში მათი მოციონი; ეს უკანასკნელი დადებითად მოქმედებს მათ პროდუქტიულობაზე;
3. სისტემატურად მიმდინარეობდეს ვეტერინარული ღონისძიებების გატარება როგორც დეზინფექციის, ასევე პროფილქარიგური, დაავადებული ცხოველის გამოვლენა და მკურნალობის გათვალისწინებით;
4. ფერმერის მიერ წინასწარ უნდა იქნეს დაკვლის ორგანიზება გაწერილი, ხორცის შემოწმების ვარგისიანობის ჩატარების პირობები და ხორცის ხარისხის ვარგისიანობაზე მათი პასუხისმგებლობა.

ლიტერატურა

1. ბოგდანოვი გ. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება. 1990.
2. ჭავასელი ა., თოდუა დ. და სხვ.სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების პრაქტიკული. 2009.

შაბ 591.4

მემკვიდრეობაში გამოყენებული საკვები საშუალებები

ნ. ორჯანელი, მ. ცინცაძე, ნ. ნატროშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: განხილულია დღევანდები მოთხოვნილებები. მასში ნათლად არის წარმოდგენილი ყველა ის სარეზერვო ნედლეული (ზოგი მხა სახით, ზოგი ანარჩენის სახით), რაც წაადგება დღევანდები მებოცვრეობის დარგს, რათა მივიღოთ მაღალხარისხიანი ხორცი, ტყავ-ბეჭვეული და დარგი იყოს რენტაბელური.

საკვანძო სიტყვები: ბოცვერი; ანარჩენი; გაშლის ნაქანი; ციტრუსის ანარჩენი; მევე-ნახეობის ანარჩენი; ბუმბულის ანარჩენი.

1. შპსავალი

ქვეყნის ეკონომიკური საკითხის გადასაჭრელად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მეცხოველეობის განვითარებას. სოფლის მეურნობის პროდუქტების ინტენსიური წარმოება დიდ როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში. ამ მხრივ კი აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა ის რეზერვი, რომელიც ხელს შეუწყობს ხორცის წარმოების ზრდას. აღსანიშნავია მებოცვრეობა, რომელიც მთელი რიგი დადებითი თვისებებით ხასიათდება. მებოცვრეობა არის მაღლწიფადი და მრავალნაყოფიერი დარგი, ასევე მისი ხორცი არის დიეტური თვისებების მატარებალი, კერძოდ მისი ხორცი არ შეიცავს ქოლესტერინს და სასარგებლოა როგორც ბავშვებისათვის, ასევე ხანდაზმული ადამიანებისათვის.

მებოცვრეობის განვითარების ძირითად რეზერვად გვევლინება მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, ბოცვრის რაოდენობრივი სულადობის და მათი ცოცხალი მასის გაზრდა, აგრეთვე მათი კონდიციურ ფორმაში მოყვანა და ახალი ჯიშების შექმნა.

2. მიზანთაღი ნაწილი

კვების ტიპი დიდ გავლენას ახდენს ბოცვრის ზრდა-განვითარებაზე. ხშირ შემთხვევაში ინტენსიური კვების დროს ხდება მოზარდი ბოცვრის სწრაფი, კუნთოვანი ნაწილის განვითარება და ამავე დროს ვდებულობთ მაღალი ხარისხის პროდუქციას. ჩარლზ დარვინი აღნიშნავდა, რომ გაუმჯობესებული სრულფასოვანი კვება მაღლა სწევს ხორცის პროდუქტიულობას, ხოლო კულეშოვი აღნიშნავდა, რომ მაღლმწიფადობის ფუნქციის აწევა და ხორცის პროდუქტიულობის გაზრდა დიდად არის დაკავშირებული კვებასთან, იგი ამბობდა: „ზრდა უხვი კვებით შეიძლება დავაჩქაროთ, ხოლო მწირით შევანელოთ, პირველ შემთხვევაში ცხოველი სრულად ავლენს მაღლმწიფადობას, ხოლო მეორე შემთხვევაში – პირიქით.“

საზღვარგარეთის ქვეყნებში მებოცვრეობის მაღალპროდუქტიულობა განპირობებულია იმით, რომ საკვების შემზადება ხდება სამრეწველო საფუძველზე დაყრდნობით, სადაც ნარევს ამზადებენ იმ საჭირო ნედლეულისგან, რომელიც განპირობებს ცხოველის მაქსიმალურ პროდუქტიულობას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამზადებენ ისეთ ულუფას, რომელიშიც 50% პარკოსანი ბალახის ფქვილი შედის, ასევე გერმანიის რესპუბლიკაში ძირითად საკვებში დიდი რაოდენობით შედის ბალახის ფქვილი. განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან დანიაში კომბსაკვების დასამზადებლად იყენებენ ორი-სამი სახის ზეთოვანი კულტურების შროტს. მეცნიერები აქვე მიუთითებენ, რომ ბამბის შროტის დიდი რაოდენობით გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მოზარდის სიკვდილი.

რიგი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ულუფაში ნედლი პროტეინის ოპტიმალური ნორმა უნდა იყოს 15-დან 25%-მდე, ხოლო რაც შეეხება ცხიმს, იგი ჯერჯერობით არ არის შესწავლილი; მიუხედავად ამისა, თეგერეი ადასტურებს, რომ მცენარეული ზეთის 5%-დან 25%-მდე დამატება აუმჯობესებს ბოცვრის ზრდას.

ექსპერიმენტული მებოცვრეობის სადგური „ფონგანა“ ნედლი უჯრედანის არსებობაზე რაციონში რეკომენდაციას იძლევა 14-20%-მდე, ასევე მიუთითებენ, რომ ბოცვრის ზრდისათვის არ არის აუცილებელი K ვიტამინი, მაგრამ გამრავლებისათვის კი აუცილებელია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ საკვები ბაზის განმტკიცება ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში მებოცვრეობის განვითარებას. ხოლო წლებში როგორც მეცნიერების, ისე მეწარმეების

მხრივ საგრძნობლად დიდი ყურადღება დაეთმო იმას, რომ სრულად გამოიყენონ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის წარმოების შედეგად მიღებული ანარჩენები მეცნოველეობაში, კერძოდ კი მებოცვრეობაში.

როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს, უნგრეთში ატარებდნენ ცდას 5–კვირიან ახალზელანდიური ჯიშის ბოცვრებზე, სადაც გამოიყენეს ვაშლის ნაქანი 10%-ის ოდენობით, რომელიც ულუფაში შეკქონდათ ფქვილის მაგიერ. ჩატარებულმა ცდებმა დადებითი შედეგი უჩვენა როგორც ზრდის, ისე პროდუქტიულობის მიხედვით. ანარჩენების სახით იტალიაში გამოიყენეს მარცვლოვანის ჩალა მექანიკური დამუშავების შემდეგ, ასევე გამოიყენეს ტომატის ანარჩენი-10%, შვრიის შესაცვლელად. იტალიაში ასევე გამოიყენეს ციტრუსის, შაქრის ჭარხლის, ყურძნის ნაქანები გარკვეული ტექნოლოგიების გამოყენებით.

გერმანიაში მშრალი წიწვი დაამატეს საკვებზე, რომელიც მდიდარია უჯრედანით და რომლის მიღებაც აუცილებელია ბოცვრის ორგანიზმისათვის.

უნგრეთში ანარჩენების სახით ანგორას ჯიშის ბოცვრებში გამოყენებულ იქნა ფრინველის ბუმბულის ფქვილი 2-6%. ფქვილის დასამზადებლად ბუმბულს ამუშავებდნენ გოგირდმჟავას ან კალციუმის ფოსფატით. საკვებზე მისმა დამატებამ შეამცირა ცილოვანი საკვების შემცველობა ულუფაში, რამაც გარკვეული ეკონომიკური მაჩვენებელი აჩვენა. რეკომენდაციაში ნაჩვენებია, რომ ბოცვრის რეალიზაციამდე 1-2 კვირით ადრე, უნდა შეწყდეს ბუმბულის ფქვილის მიცემა, რათა არ მოხდეს ხორცის ხარისხის დაცემა. სლოვაკიაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩატარდა ცდები, სადაც გრანულირებულ კომბსაკვებში შეიტანეს 15-25% ქაღალდის ანარჩენი. საკვებში მიმოცვლის ენერგიის მოთხოვნილება 1 კგ მშრალ ნივთიერებაზე შეადგენდა საკონტროლო ჯგუფში 11,5 მჯ, ხოლო საცდელში 11,0 მჯ-ს. სადღედამისო წონამატი იყო-საკონტროლოში 24,4 გ, ხოლო საცდელში-23,6 და 23,9გ. ამის შედეგად, სლოვაკიის მეცნიერები იძლევიან რეკომენდაციას მებოცვრეობაში 15-25% ქაღალდის ანარჩენების გამოყენების შესახებ. იტალიაში გამოიყენეს ტკბილი წიწაკის ანარჩენი ფქვილის სახით, რომლის პროცენტული შედგენილობა ასე გამოიყერება: ნედლი პროცენტი 21,4%, ნედლი უჯრედანა 29,33%, ნაცარი 14,55%. თავისუფალი ენერგია იყო 17,75 მჯ/კგ. ცდა ჩატარებს 3 ჯგუფში, რომელიც დაკომპლექტებული იყო მოზარდით. საცდელ ჯგუფში დაუმატეს 4% და 8% ფქვილი. სადღედამისო წონამატი მაღალი იყო მესამე ჯგუფში 34,47 გ. საკვების

დანახარჯი 1 კგ წონამატზე თითქმის ერთნაირი იყო. ასევე არ იყო განსხვავება ბოცვრის ხორცის ხარისხში.

იტალიაში ბოცვრის საკვებად გამოყენებულ იქნა მზესუმზირის ჩენჩო, რომელიც დამუშავებული იყო მწვავე ნატრიო და მის გარეშე. მასას აგრანულირებდნენ და ასე ეძლეოდა ბოცვერს. კვლევით დადგინდა, რომ აღნიშნული საკვები დადგებითად მოქმედებდა მის პროდუქტიულობაზე.

საფრანგეთში ანარჩენის სახით გამოიყენეს სელის ნამჯა, რომელიც მდიდარია ნედლი უჯრედანით (68%), რის გამო მას ძირითადად იყენებდნენ ბოცვრის სუქების დროს. ცდებში ოთხი ჯგუფიდან პირველს ეძლეოდა ჩვეულებრივი კომბინირებული საკვები, ხოლო დანარჩენ სამ ჯგუფს ნამჯის მაგიერ სელის ანარჩენი 5-10%-მდე, სადაც ჯგუფების ზრდის ინტენსივობა 20%-ით მაღალი იყო საკონტროლოსთან შედარებით. დღესდღეობით არსებობს ბოცვრის ორმაგი კვება: 1. კომბინირებული კვების ტიპი, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა კონცენტრატი და ცილოვან-ვიტამინოვანი საკვები (მწვანე ბალახი, ბალახის ფქვილი, წვნიანი საკვები); 2. მშრალი კვების ტიპი ჩვეულებრივ გამოიყენება სრულფასოვანი გრანულირებული კომბინირებული საკვები.

მოზარდ ბოცვრებზე საგრძნობლად მოქმედებს კომბინირებულ საკვებში პროტეინის დონე 45-90 დღემდე ბოცვერს ესაჭიროება 13% პროტეინი კომბინირებულ საკვებში, ხოლო მის ზევით – 12,3 % პროტეინი.

მეცნიერების მიერ შესწავლილ იქნა ასევე თევზის ფქვილი, რომელიც გამოირჩევა მაღალი ცხოველური პროტეინის შემცველობით. საუკეთესო შედეგს მივიღებთ თუ მას ჩავრთავთ კომბინირებულ საკვებში. თევზის ფქვილის მწარმოებელი ხუთი ქვეყანაა-პერუ, ჩილე, ნორვეგია, ისლანდია და დანია.

მეცნიერთა მონაცემებით დადგენილია, რომ ბოცვერი, რომელიც ხანგრძლივად დებულობს ერთსა და იმავე საკვებს ცუდ შედეგამდე მიღის. ამიტომ აუცილებელია ბოცვრის კვების პერიოდული განახლება. გრანულირებული საკვების მიცემის დროს ბოცვერს უნდა ეძლეოდეს უხეში საკვები, რომელიც ულუფაში ზრდის უჯრედანის შემცველეობას, რაც აუმჯობესებს პროდუქტიულობას.

მეცნიერთა ჯგუფი თვლის, რომ ბოცვრის სასუქი სულადობის რაციონში უნდა ჩაირთოს შედარებით იაფვასიანი საკვები საშუალებები (მოხარული კარტოფილი, თივის ფქვილი, ქაზო, სამზარეულო ანარჩენები და სხვ.). თივა დღეში უნდა მიეცეს 50-60 გრამის ოდენობით და გასუქება უნდა გაგრძელდეს 14-20 დღე.

ამჟამად, მებოცვრეობაში გამოიყენება კომპინირებულ საკვებში ჩართვით ვაშლის ნაქანი, ციტრუსი, ჩაის, შაქრის ჭარხლის წარმოების, ბადრიჯნის ფოჩის და ტყის წარმოების ანარჩენები, ასევე ასკილის, სვინსა და მევანახეობის ანარჩენი, ხოლო ცხოველური წარმოშობის ანარჩენი არის აბრეშუმის ჭიის ჭუპრის ფქვილი.

3. დასპანა

მებოცვრეობის დარგი დღესდღეობით წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად და შემავსებელ დარგს მეცხოველეობის სფეროში, რომელიც ძალიან სწრაფად იძლევა შთამომავლობას და პროდუქციას ხორცის და ტყავ-ბერეზეულის სახით მსუბუქი მრეწველობისათვის. ამიტომ, მათი ზრდა-განვითარებისათვის, როგორც წვრილმა, ისე მსხვილმა ფერმერებმა უნდა მიიღონ ის რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც ამ სფეროს მეცნიერების მიერ იქნება მიწოდებული, შეძლებისდაგვარად მოახდინონ მებოცვრეობის დარგის შემდგომი განვითარება და მისი რენტაბელურობა.

ლიტერატურა

1. ორჯანელი ნ. ბოცვრის რაციონალური კვების ტიპის დამუშავება საქართველოს პირობებში. 2011.
2. ბოგდანოვი გ. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება. 1990.

შაგ 591.4

მეცნიერებლებაში არაპალანსირებული პგების ფაზტორის გავლენა ცხოველების პროდუქტიულობაზე

მ. ცინცაძე, ნ. ორჯანელი, ნ. ნატროშვილი, გ. ცქვიტინიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: ცხოველთა კვებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია დაბალანსული ულუფის მიწოდება ცხოველზე. წინამდებარე ნაშრომში განხილულია არაბალანსირებული კვების ფაქტორის გავლენა ცხოველის პროდუქტიულობაზე.

საკვანძო სიტყვები: კვება; არაბალანსირებული; ძროხა; ცხვარი; ღორი; უენჯო; დღლაბი კონცენტრირებული; ნედლული; ანარჩენი.

1. შესავალი

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, მეცხოველეობის მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მზარდი რაოდენობით აწარმოოს კვების პროდუქტები მოსახლეობისათვის და ნედლეული მრეწველობისათვის. ამის უზრუნველსაყოფად ყველაზე მნიშვნელოვან როლს მეცხოველეობაში ასრულებს მოშენება-შენახვის და კვების სწორი ორგანიზაცია, სადაც გათვალისწინებულია ცხოველთა მოთხოვნილება ენერგიაზე, საზრდო და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე, რის საფუძველზეც დამუშავდა კვების ნორმები თითოეული სახის ცხოველისათვის სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების და დატვირთვის მიხედვით.

2. ძირითადი ნაწილი

დაბალანსებული საზრდოობის თეორიიდან გამომდინარე, ადამიანი დღე-დამეში უნდა ღებულობდეს: წყალს – 2ლ, სხვადასხვა ცილებს – 80-100 გ(მათ შორის დაახლოებით 50% უნდა მოდიოდეს ცხოველურ ცილებზე), ნახშირწ-

ყლებს – 400-500 გ, ცხიმებს – 80-100გ (მათ შორის 90% უნდა მოდიოდეს ცხოველურ ცხიმებზე), ვიტამინებს – 0,1გ, მარილებს 20 გრამამდე (მ.შ. სუფრის მარილს – 10 გ).

სამწუხაროდ, მსოფლიოს სტატისტიკური მონაცემები გვამცნობს, რომ პლანეტის მცხოვრებთა მხოლოდ გარკვეული ნაწილია უზრუნველყოფილი კვების იმ რაოდენობის პროდუქტებით, რაც მეცნიერულად დასაბუთებული ნორმებითაა გათვალისწინებული. ამის მიზეზი მრავალი ფაქტორი არსებობს, კერძოდ ყველაზე მთავრია შემდეგი:

1. განვითარებად ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაბალი დონე;
2. არასაკმარისი ყურადღება, რომელსაც მსოფლიო მეცნიერება უთმობს საკვები რესურსების გადიდების პრობლემას და ასევე მათ გასაწყლოებას.
3. ჩვენ პლანეტაზე მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი – იგივე დემოგრაფიული აფეთქება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული რომ გადაწყდეს, საჭიროა მეცხოველეობის დარგის შემდგომი ამაღლება, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკვები ბაზის განვითარების დონისძიებას და ცხოველთა სწორი კვების ორგანიზაციას. კვება კი თავისთავად წარმოადგენს ადამიანის მიერ ორგანიზებულ, კონტროლირებულ და რეგულირებულ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საზრდოობას.

მეცნიერება, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების შესახებ დაკავშირებულია ისეთ დისციპლინებთან, როგორიცაა ბიოქიმია და ფიზიოლოგია, აგრეთვე მომშენებლობა, მეძროხეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა და ა.შ.

საგნის დანიშნულებაა ძირითადად კვების ულუფებისა და სქემების ამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველთა პროდუქტიულობის გენეტიკური პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას და ჯანმრთელობას, რაც შეიძლება მეტი ხნის განმავლობაში.

სადღეისოდ დადგენილია, რომ ცხოველის არაგადამდები დაავადებების ნახევარზე მეტი გამოწვეულია ნივთიერებათა ცვლის დარღვევით, რომელიც არაბალანსირებული საზრდოობის შედეგს წარმოადგენს, ასევე ცხოველის დაავადება შეიძლება გამოწვეული იყოს არასწორი ტექნოლოგიით.

არაბალანსირებული კვების შედეგად ცხოველის ორგანიზმში ირღვევა ცილო-ვანი, ნახშირწყლოვან-ცხიმოვანი, მინერალურ-ვიტამინოვანი მიმოცვლის ნორმალური მსვლელობა და ამ ნიადაგზე ვითარდება დაავადება.

ძროხას, ღორს, ცხვარს და ასევე საბეჭვე ნადირს ბაგურ პერიოდში უჩნდება დაავადება კეტოზი. მისი მიზეზები შემდეგია: ულუფაში შაქრის, სახამებლისა და უჯრედისის არასაკმარისი რაოდენობა და კეტოგენური მოქმედების მქონე საკვების ჭარბი ოდენობა, არასრულფასოვანი და ერთფეროვანი კვება, მეგვე ნიადაგზე მოყვანილი საკვების გამოყენება, მაღალკონცენტრირებული კვების ტიპი ადვილ-სენადი ნახშირწყლების არასაკმარისი შემცველობით; ერბომჟავას და 30%-ზე მეტი ძმარმჟავას შემცველი სილოსით ხანგრძლივი კვება, უხარისხო სენაჟით კვება, ასე-ვე გადამჟავებული ჟენერასა და ბუყის დიდი რაოდენობით გამოყენება.. თანამგზავრ მიზეზებს წარმოადგენს შენახვის ზოოპიგიური პირობების დარღვევა, მოციონისა და წყლის უქონლობა.

კეტოზით დაავადებული ფურის სისხლსა და შარდში არსებითად იცვლება ნახშირწყლოვან-ცხიმოვანი და ენერგეტიკული მიმოცვლის მეტაბოლიტების შემცველობა, იცვლება რძის შედგენილობაც.

კეტოზის აღმოჩენისას აუცილებელია ყველა ცხოველს შეუმცირდეს ცილით და ცხიმით მდიდარი საკვები და შეიცვალოს იგი ნახშირწყლოვანი საკვებით. ავადმყოფი ცხოველის ულუფაში უნდა ჩაირთოს 5-10 კგ ჭარხალი, კარტოფილი, სტაფილო; კოპტონი და შროტი უნდა შეიცვალოს შვრით ან ქერით, სასურველია 1-2 კგ ბადაგი. აუცილებელია აქტიური მოციონი და ცურის ულტრაიისფერი დასხივება.

ვიტამინების ნაკლებობით გამოწვეული დაავადებები. უკმარისობის ხარისხის მიხედვით, ამ დაავადებებს უწოდებენ ჰიპოვიტამინოზს (ნაწილობრივ უკმარისობა) ან ავიტამინოზს (ორგანიზმში ვიტამინების სრული უქონლობა).

3. დასპგნა

ჰიპოვიტამინოზი ძალიან ნელა ვითარდება და მისი დიაგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთი ან რამდნიმე ვიტამინის ნაწილობრივი ნაკლებობა გავლენას ახდენს ცხოველის პროდუქტიულობასა და ორგანიზმის რეზისტენ-

ტობაზე. პიპლიტამინზე უარყოფით გავლენას ახდენს ნაყოფის განვითარებაზე მაკე ცხოველში და შეიძლება აბორტის ან სუსტი ნამატის მიზეზიც გახდეს.

A-ავიტამინზი-ქსეროფტამია ყველა სახის ცხოველში ვითარდება კაროტინის უკმარისი შემცველობის დროს, ერთფეროვანი კვების ნიადაგზე. მის განვითარებას ხელს უწყობს ულუფაში ცხიმის დაბალი დონე, ხოლო მცოხნავებში-ნიტრატების გადიდებული შემცველობა საკვებში.

A ვიტამინის უკმარისობა უარყოფით გავლენას ახდენს მიმოცვლის ბევრი სხვა პროცესის მსვლელობაზეც, რის შედეგადაც ცხოველი დაბეჭავებულ, შეწუხებულ სახეს იღებს და წინასწარგანწყობილია სხვადასხვა დაავადებისადმი.

A-ავიტამინზის განვითარების ნიშნებია: „ქათმის სიბრმავე“ – საღამო უამს მხედველობის გაუარესება, ბეწვის ან ბუმბულის აბურმგნა, განაყოფიერების უნარის დაქვეითება, მოზარდეულში სახსრების შესიება.

D-ავიტამინზი (რაქიტი) ყველა სახის ცხოველში ვითარდება ზამთრის პერიოდში. D ვიტამინის საკვების წყაროს წარმოადგენს მზეზე გამშრალი თივა. ცხოველში მისი ძირითადი მარაგი იქმნება გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში.

D-ავიტამინზის განვითარების მიზეზი არის არასაკმარისი ინსოლაცია და ულუფაში თივის შეუტანლობა. რაქიტის განვითარებას ხელს უწყობს ულუფაში ცხიმის ნაკლებობა, კალციუმის და ფოსფორის უკმარისობა ან მათ შორის შეფარდების დარღვევა.

რაქიტის ნიშნები ასეთია: მუხლისა და სახტომი სახსრების გამსხვილება, ტკივილები მოძრაობისას, შესაძლოა ნეკნების შესიება გულმკერდის ძვალთან შეერთების ადგილებში, ძვლების დარბილება და გამრუდება. რაქიტით ავადდება მოზარდეული ზამთარში და ადრე გაზაფხულზე დაბადებული, რადგან დედის ორგანიზმს არ შეუძლია განვითარებად ნაყოფში D ვიტამინის მარაგის შექმნა.

რაქიტის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ცხოველი გვყავდეს მოციონზე და მიეცეს ამ ვიატამინით მდიდარი საკვები ან შემცვლელი პრეპარატები.

E-ავიტამინზის გამომწვევი მიზეზებია: დარღვევები ცხოველის საზრდოობაში მისი ინტენსიური ზრდისას, მცენარეებში ნიტრიტების შემცველობის გაზრდა აზოტოვანი სასუქების მაღალი დოზების გამოყენების შედეგად. ნიადაგში სელენის დაბალი დონე. მოზარდეულში მუდავნდება კუნთების სითეთრის დაავადება, რო-

მელიც გულის უქმარისობით, დამბლით და კუნთების დისტროფიით ხასიათდება. ამ ვიტამინის ნაკლებობა ზრდასრულ ცხოველებში იწვევს სასქესო ფუნქციების დენორმალიზებას და შეიძლება უნაყოფობის მიზეზიც გახდეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ცხოველებში ავიტამონზის განვითარებას ხელს უწყობს უხარისხო, განსაკუთრებით ცხოველური წარმოშობის საკვების გამოყენება, ულუფაში შაქრის ჭარხლის და ჭარხლის ფოჩის, აგრეთვე მისგან დამზადებული სილოსის დიდი ხეედრითი წილი, განასაკუთრებით საშიშია უხარისხო, დამძაღვ-ბული კომბინირებული საკვების მიღება და ასევე წყლის რეჟიმის დარღვევა.

მინერალურ ნივთიერებათა მიმოცვლის დარღვევით გამოწვეული დაპვადებები: ცხოველებში ფართოდ გავრცელებული დაპვადების – ოსტეოდისტროფიის მიზეზია ულუფაში კალციუმის და ფოსფორის უქმარისობა, მათ შორის დარღვეული ბალანსი. იგი მედავნდება ძვლოვანი ქსოვილის დისტროფიული ცვლილებებით ოსტეომალაციის, ოსტეოპოროზის ან ფიბროზული ოსტეოდისტროფიის ფორმით.

შაბ 591.4

მეცნიერებლეობაში სარეალიზო მოზარდის ზრდის განვითარების ღინამიკა

მ. ცინცაძე, ნ. ორჯანელი, ნ. ნატროშვილი, გ. ცქვიტინიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: მეცნიერებლეობაში სარეალიზო მოზარდის გამოზრდა, როგორც ნაჩვენებია მოცემულ სტატიაში, დამოკიდებულია ფრინველთა შენახვის სისტემაზე. ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა შემდეგი მუნიციპალიტეტების მოზარდისას: აღნიშნული კვლევა შეიძლება საფუძვლით დაედოს სარეალიზო მოზარდის გამოზრდის დროს.

საკვანძო სიტყვები: სარეალიზო მოზარდი; იარუსი; სადედე გუნდი; კვერცხის ინკუბაცია; სამამლე ფორმა.

1. შპსავალი

მეცნიერებლეობა, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი, ვითარდება კონცენტრაციის, სპეციალიზაციის და ინტენსიფიკაციის გზით, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიით დარგის სწორ მართვას, საწარმოო პროცესების მექანიზაციის და ავტომატიზაციის მაღალ დონეს, ფრინველის პროდუქტიულობის მკვეთრ ზრდას და ამასთან დაკავშირებით, მაღალ ეკონომიკურ ეფექტურობას.

2. მიზანითადი ნაწილი

გამოშვებული პროდუქციის სახეობის მიხედვით სპეციალიზებულ მეცნიერებლეობის საწარმოები განსხვავდებიან წარმოების ტექნოლოგიური ციკლით. იგი შეიძლება იყოს: სრული დახურული ციკლი და არასრული დაუმთავრებელი ციკლით, წარმოების ცალკეული პროცესების ვიწრო სპეციალიზაციით.

მსხვილ მეფრინგელეობის ფაბრიკებში კვერცხის წარმოების ტექნოლოგია მიმდინარეობს დახურული ციკლით, რაც გულისხმობს, რომ კვერცხის წარმოების ყველა ტექნოლოგიური რგოლი, როგორიცაა: სადედე გუნდი, კვერცხის ინკუბაცია, სარემონტო მოზარდის გამოზრდა, სამრეწველო გუნდის საამქროები, კვერცხის დახარისხება და შეფუთვა, ფრინგელის დაკვლა და გადამუშავება, წარმოების ნარჩენების გადამუშავება. ვეტ-სანიტარული ობიექტი განლაგებულია ფაბრიკის ტერიტორიაზე და ყველა საამქრო ერთმანეთთან დაკავშირებულია ზუსტი ტექნოლოგიური გრაფიკით.

სამრეწველო მოზარდი ისეთი მოზარდია, რომლითაც ხდება სადედე და სამრეწველო ფრინგელის შეცვლა. მეკვერცხულ ფაბრიკებში სარემონტო მოზარდი ორია, ერთი სადედე გუნდის, მეორე სამრეწველო გუნდის შესაცვლელად.

სადედე გუნდის შესაცვლელად სარემონტო მოზარდი არის როგორც სადედე, ასევე სამამლე ფორმის. ყოველი ერთი დედლის შესაცვლელად სადედე გუნდი-სათვის იყენებენ 1,5 სქესზე დარჩეულ წიწილას, ხოლო სქესზე გაურჩეველს – 3 წიწილას, ასევე ყოველი მამლის შესაცვლელად იყენებენ 4 სქესზე გარჩეულ წიწილას.

მკვლევართა მონაცემებით, ახალგამოჩეკილ მოზარდს განვითარების პირველ პერიოდში მეტი სითბო ესაჭიროება ვიდრე შემდგომ პერიოდში. ახალგამოჩეკილ მოზარდს თერმორეგულაციის მექანიზმი სუსტად აქვს განვითარებული; ამიტომ, სხეულის ნორმალური ტემპერატურის შესანარჩუნებლად მეტ სითბოს მოითხოვს. დიდი ყურადღება ექცევა ასევე ტენიანობისა და განათების ხანგრძლივობის ნორმატივების დაცვას, რაც ხელს შეუწყობს პროდუქტიულობის გადიდებას, გადამდები დაავადებების აღკვეთას და დაწყურვების რეჟიმს.

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ მეცნიერულად სარემონტო მოზარდს პირველ პერიოდში ესაჭიროება მაღალი ტემპერატურა და ტენიანობა, ასევე სინათლის ხანგრძლივობა, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად კლებულობს, როგორც ტემპერატურა, ტენიანობა და სინათლის ხანგრძლივობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია წყლის მიწოდების რეგულაცია.

სარემონტო მოზარდსათვის ტემპერატურის, მიკროკლიმატის და სინათლის რეჟიმი

ფრინველის ასაკი დღეებში	ტემპერატურა		ჰაერის ტენიანობა %	სინათლის ხანგრძლივობა საათებში
	გალიაში	დარბაზში		
ერთდღიანი	33-32	31-30	70	22
1-5	30-29	38-27	70	22
6-10	28-26	26-24	65	21
11-20	26-24	24-22	60	19
31-40	22-20	20-18	55	15
41-60	20-18	18-16	55	14
60 დღის ზევით	20-18	18-16	55	14

მეცნიერულად რეკომენდებულია ერთდღიანი სარემონტო მამლების ცალკე გამოზრდა, რადგან მათი შემდგომი სქესობრივი აქტიურობა და გამოყენების ვადაც უფრო ხანგრძლივია.

როდესაც სარემონტო მოზარდის მამლები გალიურ სისტემაშია, მათ ათავსებენ 4-6 კვირისას 10-12 ფრთის ოდენობით, ხოლო 6-13 კვირამდე 7-8 ფრთის ოდენობით.

მამლების მეორე გადარჩევას ახდენენ 20-24 კვირის ასაკში, ექსტერიერის და სპერმის ხარისხის მიხედვით. სადედე გუნდისათვის ტოვებენ 1800-2000 გრამი ცოცხალი მასის მამლებს, რომელთაც აქვთ კარგად განვითარებული ბიბოლო, დრმა მკერდი, ფართოდ გადგმული და მაგარი ფეხები; ექსტერიერის შეფასების შემდეგ, აფასებენ სპერმის ხარისხს. სპერმა უნდა მივიღოთ მასაჟის მეთოდით. დაწუნებული მამლები გადადის სასუქ განყოფილებაში.

3. დასტვა

მეცნიერული კვლევის საფუძველზე, რომლის დაკვირვება ხორციელდებოდა სამსართულიანი იარუსების შემთხვევაში მოზარდის გამოზრდისას, გალიური შენახვის სისტემის დროს იარუსებზე მოზარდის ზრდა-განვითარება არაერთნაირად მიმდინარეობდა, კერძოდ სამივე იარუსზე განაწილებული იყო ერთი ასაკის და თა-

ნაბარი მასის ერთდღიანი მოზარდი; მათი მასის ზრდის დინამიკა და ცხოველმყოფელობა შესწავლით იქნა დეკადურად (10, 20, 30 და ბოლოს 60 დღის ასაკში).

წიწილების დეკადური აწონვისას ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა შუა იარუსის სულადობამ. ასე მაგალითად, 20 დღის ასაკი წიწილის მასამ შეადგინა 99,28 გ, ხოლო 30 დღის ასაკში დედლებმა 155,2 გ, ხოლო მამლებმა 170,9 გ, შესაბამისად 60 დღის ასაკში – დედლებმა 477,1 გ და მამლებმა 659,3 გ. მესამე იარუსზე მოთავსებულებებმა კი 20 დღის ასაკში 98, 9 გ, 30 დღის ასაკში დედლებმა 154,1 გ და მამლებმა 157,9 გ; შესაბამისად, 60 დღის ასაკში – 433,2 და 639,1 გ.

ამრიგად, შუა იარუსზე მოთავსებულმა მოზარდმა ცოცხალი მასით გადააჭარბა მესამე იარუსზე მოთავსებულ მოზარდს, 30 დღის ასაკში დედლებმა 0,75-ით, მამლებმა 1,7%-ით, ხოლო 60 დღის ასაკში – დედლებმა 0,9%-ით და მამლებმა 3,0%-ით.

პირველ იარუსზე მოთავსებულ მოზარდს, მეორე იარუსის მოზარდმა კვლავ გადააჭარბა 1,2 %-ით დედლებს, და მამლებს 4,2%-ით.

მეცნიერული მონაცემებით ასევე დადგინდა, რომ შუა იარუსზე მოთავსებული წიწილები გამოირჩეოდნენ სიცოცხლის უნარიანობითაც. ამრიგად, სხვაობა ჩამოყალიბდა გამოზრდის პროცესში შექმნილი ოპტიმალური რეჟიმით.

ცხოველმყოფელობად მიჩნეულია სარემონტო მოზარდის შენარჩუნება. საუკეთესო შენარჩუნების პროცენტი იქნა მიღებული მეორე იარუსზე (95,5%), ხოლო დანარჩენ პირველ-მესამე იარუსზე შესაბამისად (90,5%; 94,0%). ასევე პირველ ხუთ დღეს მოზარდის დანაკარგი პირველ-მესამე იარუსზე მეტი იყო, ვიდრე მეორეზე. მეორე იარუსზე მოზარდის შენარჩუნება 30 დღემდე 5%-ით მეტი იყო პირველ ირუსთან შედარებით და 1,5%-ით მეტი – მესამე იარუსთან შედარებით.

კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ მეორე იარუსზე ტემპერატურის და სინათლის ზემოქმედება დადებითად აისახება ჩანასახის ზრდა-განვითარებაზე. ეს კი საწინდარია მაღალი პროდუქტიულობის.

არქიტექტურა

შაბ 72

გარეთუგნის არქიტექტურული თავისებურებანი

თ. ქუთათელაძე, გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: ძველი თბილისი თავისი ვიწრო ქუჩებით სამიარუსიანი ბაზრის მოედნებით, ხახლოსნოებითა და ხავაჭრო რიგებით XIX-ის შუაში უკვე არ პასუხობდა ქალაქის მოთხოვნებს, რომელიც თანდათან გადაიქცა ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად კავკასიაში. ქალაქის კედლის გარეთ დაიწყეს შენობების აგება, ამ რაიონს გარეთუბანს უწოდებდნენ. გარეთუბანი პირობითად დაყოფილი იყო რამდენიმე უბნად: სოლოლაკი, მთაწმინდა, ვერუ, მუხრანბატონის უბანი. იმ დროს შექმნილი ხაცხლოებელი ხახლების და ხაზოვადო შენობების უმჯგებობა დღეს ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას შეადგენს.

საკვანძო სიტყვები: გარეთუბანი; სოლოლაკი; მთაწმინდა; ხახლოსნოები; მოედნები; შენობები.

1. შესავალი

„გარეთუბანს“ ეძახდნენ იმ ადგილს, რომელიც ქალაქის ციხის კედლის გარეთაა, პირველად ამ ტერმინს XVI ს-ის შუაწლებიდან მოიხსენიებენ.

1735 წ. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ ქალაქის რუკაზე ეს რაიონი აღნიშნულია როგორც „ქალაქი“ ან „დიდმის გზა“, მოგვიანებით „გზა რუსეთში“. ეს გზა ამჟამინდელი რუსთაველის გამზირის გასწვრივ მიდიოდა, სადაც ვარდების რევოლუციის მოედანია. ამ რუკაზე სამი ეკლესია: სომხური, კალათუბნის და ქაშუეთის. ამ დროს გარეთუბანში სახლობდნენ ხელოსნები, მჭედლები, ქვის ოსტატები, მეთუნეები და სხვ. გრეთუბანი პირობითად დაყოფილი იყო რამდენიმე უბნად: სოლოლაკი, მთაწმინდა, მუხრანბატონის უბანი.

2. მირითადი ნაწილი

XVIII საუკუნიდან ქალაქის კედლის გარეთ დაიწყეს შენობების აგება ამ რაიონს გარეთუბანს უწოდებდნენ. გარეთუბანი პირობითად დაყოფილი იყო რამდენიმე უბნად: სოლოლაკი, მთაწმინდა, მუხრანბატონის უბანი. იყო უფრო მცირე კვარტლები, რომლებიც ამ მიკრორაიონში შედიოდა: ბოშისუბანი (აქ ბოშები ჩერდებოდნენ), ვანკის უბანი. სადაც XV-XVI საუკუნეებში აშენებული იყო სომხური სამგუმბათოვანი ეკლესია-ვანკი. ტაძრის კომპლექსში შედიოდა რეზიდენცია, საცხოვრებელი ნაწილი, ა.გუსაკოვის სარკოფაგი, სამიარუსიანი სამრეკლოს გალავანი. ტაძრიდან მიღიოდა რამდენიმე ქუჩა, რომელიც ატარებდა ტაძრის სახელწოდებას, მცირე და დიდი ვანკის ქუჩა, ვანკის შესახვევი და ვანკის ჩიხი.

XIX ს-დან გარეთუბანი აქტიურად შენდებოდა. მას უწოდეს ახალი ქალაქი. ის განსხვავდებოდა ძველისაგან, რომელიც ქალაქის კედლის შიგნით იყო. ძველი თბილისი თავისი ვიწრო ქუჩებით, სამიარუსიანი ბაზრის მოედნებით, ხელოსნებისა და სავაჭრო რიგებით XIX ს-ის შუაში უკვე არ პასუხობდა ქალაქის მოთხოვნებს, რომელიც თანდათან გადაიქცა ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად სამხრეთ კავკასიაში.

ქალაქის კედლის გარეთ დაიწყეს ახალი თანამედროვე შენობების აგება. პროექტებს ამტკიცებდა უშუალოდ ნამესტნიკი და მოგვიანებით ქალაქის მმართველობა. ახალი ქალაქის გეგმას, რუსი სამხედრო ტოპოგრაფები ადგენდნენ და რომელმაც განსაზღვრა ამ რაიონის ამჟამინდელი სახე. ახლოს იმ ადგილთან, სადაც ახლა შოთა რუსთაველის მოედანია, იყო მოსკოვის კარიბჭე – გარეთუბნის პოლიციის უბანი და შლაგბაუმი. კარიბჭე იყო მოთავსებული ხის ხიდზე, ხევზე, აქედან კიდევ ერთი ძველი დასახლება „მოსკოვის ბალკა“.

XIX ს-ის 70-იან წლებში ხევი ამოავსეს და იქვე ახლოს წარმოიშვა სამხედრო დასახლება ზედა ვერე, სადაც მივყავართ ძმებ კაკაბაძეების ქუჩას.

XIX ს-ის დასასრული და XX ს-ის დასაწყისი - ეს ერთგვარი რენესანსია ქალაქის ისტორიაში. სწორედ ამ დროს დაიწყო თბილისმა სწრაფად ზრდა. გაჩნდა პრაქტიკული რაიონები, სადაც სახლდებოდნენ ცნობილი ადამიანები, ბურუუზია და ინტელიგენცია - ესენია: სოლოლაკი, მთაწმინდა, ვერე. ნაკლებ შეძლებული ქალაქელები ცხოვრობდნენ კალასა და აგლაბარში. ეს იყო ხელოსნებისა და ვაჭრების რაიონი. კალა და მეტეხი, ქალაქის ყველაზე ძველი რაიონები ძველთაგა-

ნავე მოთავსებული იყო ნარიყალას ციხის შიგნით. ისინი წარმოადგენდნენ ქალაქს. მტკვრის მეორე ნაპირზე – კუკიასა და ჩუღურეთში სახლდებოდნენ ძირითადად ჩინოვნიკები და ჩამოსახლებული გერმანელები.

თბილისის ცენტრალური რაიონი გარეთუბნის ერთ-ერთი მიკრორაიონია. მთაწმინდა გადაჭიმულია სოლოლაკიდან ვერემდე, მთაწმინდის ფერდობზე რუსთაველის გამზირის ზევით. ამ რაიონის განაშენიანება დაიწყო 1810-1820წწ. და ერთ-ერთი პირველი აქ აშენებული იყო კავკასიის არმიის შტაბი, გაუპტვახტა, არსენალი და კავკასიაში სამოქალაქო და სამხედრო მთავარმართებლის სახლი.

ამის შემდეგ გარეთუბანში, კერძოდ, მთაწმინდაზე, დაიწყეს დასახლება არისტოკრატიის წარმომადგენლებმა, სამხედროებმა და სამოქალაქო ჩინოვნიკებმა, ვაჭრებმა და მეწარმეებმა. აქვე დაიწყო სასტუმროების და ოფატრების, მაღაზიების და ბანკების, საზოგადო და ადმინისტრაციული შენობების აგება, რამაც განსაზღვრა რაიონის პრესტიულობა.

სოლოლაკის განაშენიანებას თავდაპირველად ქაოსური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მალე კავკასიაში მეფისნაცვალის სურვილით ქალაქის ამ და სხვა რაიონების შენება დაიწყო მკაცრი გეგმით, რომელსაც იგი პირადად ამტკიცებდა ქალაქის დუმის წინადადებით. ქუჩები დაგეგმარებული იყო პოლკოვნიკ ბანოვის და მიწისმზომ ტოვარნიცების მიერ და შეესაბამებოდა არა მარტო სამოქალაქო, სამხედრო საჭიროებასაც, მიწის გაყიდვა და სახლის მშენებლობა ნებადართული იყო შენობის პროექტის დამტკიცების შემდეგ – კავკასიაში მეფისნაცვლის ან შემდგომ ქალაქის მმართველობის მიერ.

ძირითადი გზა, რომლისგანაც ზუსტად დაგეგმილი სისტემით იშლებოდა ქუჩები ზემოთ, მთაწმინდის ფერდობზე, იყო გოლოვინის პროსპექტი (რუსთაველის პროსპექტი). 1848 წელს პროსპექტის ორივე მხარეს მოწყობილი იყო ტროტუარები და დარგული იქნა ხეები. 1862 წლიდან წყალი სახლებს მიეწოდებოდა წყალგაყვანილობით. მას აწვდიდნენ მტკვრიდან (ორთქლის მანქანით), 1880 წელს ერევნის მოედნიდან (თავისუფლების მოედანი) მოსკოვის ზასტავამდე (ვარდების რევოლუციის მოედანი) გაყვანილი იყო ცხენის რკინიგზა – კონკა. 1897 წ. ჯერ ადმინისტრაციულ, შემდეგ კი კერძო სახლებშიც ჩნდება ელექტროობა.

სოლოლაკი არაბულად ნიშნავს არხს, აკვადუკს, მოთავსებული იყო ქალაქის კედლის გარეთ. იქ ჩამოდიოდა მდინარე ავანაანთხევი და ყვაოდა ქართველ მეფეთა და არისტოკრატთა ბადები.

სოლოლაკის განაშენიანებას ართულებდა გრუნტის წყლები და მდინარე ავანაანთხევი. ეს პრობლემა გადაიჭრა 1830 წელს, როცა ხევი და მასში მდინარე გადაიხურა კრამიტის აგურის კოლექტორით. სოლოლაკი შენდებოდა როგორც საცხოვრებელი რაიონი, ამიტომ, აქ თითქმის არ არის მსხვილი საზოგადო შენობები. გამონაკლისია მხოლოდ სოლოლაკის ქუჩა (ამჟამად გიორგი ლეონიძის ქუჩა).

თბილისში ძირითადად ადგილობრივი არქიტექტორები აშენებდნენ. მათ შორის იყვნენ: მ. ნეპრინცევი, მ. ოგაჯანოვი, ხ. ტერ-სარქის-სატუნელი, ე. ბელი, ა. შიმკევიჩი, ს. კლდიაშვილი, კ. ტატიშჩევი და მრავალი სხვა. მათ მიერ შექმნილი საცხოვრებელი სახლები და საზოგადო შენობები შემოინახა და დღეს ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას შეადგენს. ყოველ სახლს აქვს თავისი ისტორია.

ახალი დრო კარნახობდა ახალ მიმართულებებს არქიტექტურაში და სახლების შიდა დეკორში. წარმოიშვა სახელოსნოები, რომელშიც მხატვრები ამზადებდნენ სპეციალურ ტრაფარეტებს კედლებისა და ჭერის მოსახატავად. მაგრამ ზოგჯერ შემკვეთს უნდოდა რაღაც ორიგინალური. ასე გაჩნდა ნახატები ბიბლიური, ისტორიული, ლიტერატურული სიუჟეტებით, მთლიანი ჟანრული სურათებით.

ანჯელო ანდრეოლეტის ფირმა დაკავებული იყო ქვის და მარმარილოს იატაკების დაწყობით, სკულპტურულ-მარმარილოს სამუშაოებს ასრულებდა ფირმა ბერნარდა ჯიდე და ანტონიო რიცი. ყველა მათგანი მუშაობდა მაშინ პოპულარულ სტილსა და ტექნიკაში, როგორიცაა ტრომპო-ლ'ოეილ, ორდო, რუსტიცუს, სტუცო, ცაისსონ, ფაცწერა, ასევე ბაროკო, როკოკო, კლასიციზმი და მოდერნი.

XIX ს-ის შუაში ტიფლისში გაჩნდა პირველი სამჭედლო-სახელოსნოები, რომლებიც მხატვრული ჭედვით იყვნენ დაკავებული. ცნობილი სახელები მჭედლებისა, რომელთა მიერ თბილისში ბევრი ლამაზი აუზული, ჭედური აივნები, ჭიშკრები, კიბის მოაჯირები, სადარბაზოს კარებია – კერერი, როხოვი, ბარტი, ბედური, ქიმერიდე, ელისაბედაშვილი და სხვა. მიუხედავად სიძვირისა, ქალაქელები ცდილობდნენ თავიანთი სახლები გაეფორმებიათ არა მხოლოდ ფასადური სკულპტურებით და სადარბაზოებით, ფერწერით, არამედ მხატვრული ჭედურობით. ამისათვის ხელოსნები იწერდნენ კატალოგებს რუსეთიდან და ევროპიდან. მოდერნის ეპოქაში ბევრი უკვეთავდა კატალოგში შერჩეულ ავეჯს, კატალოგები გამოცემული იყო პარიზის მეტროს სადგურის პირველი დეკორატორის, მოდერნის ფუძემდებლის ფრანგი მხატვრისა და არქიტექტორის ეკტორ გიმარის მიერ.

იმუამინდელ დამკვეთსა და არქიტექტორს არ უფიქრია, რომ 100 წლის შემდეგ მისი მოდური გატაცება კულტურულ მემკვიდრეობად შეფასდებოდა მათ მხოლოდ ლამაზი, ორიგინალური სახლი ჭირდებოდათ, ვინაიდან იმ ხანის ტიფლისის რჩეული საზოგადოების გაოცება არც თუ ისე იოლი იყო. ქალაქში, შეიძლება ითქვას, ყოველ დღე ახლათხალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მდიდრულად გაფორმებული, არაჩვეულებრივი სახლები შენდებოდა. მარმარილოს კიბეები და მოაჯირები, სპარსული ხალიჩები, სტუკის სტალაკტიტებით შეისრული თაღები, პოლიქრომიული ორნამენტებით მორთული, აღმოსავლური სტილის ხალიჩისებური ვესტიბულის პლაფონი, კიბის უჯრედი და კედლის მოხატულობა მნახველის აღტაცებას იწვევდა.

3. დასპანა

